კვირეული „ვერსია“

ვერსია

№44 (1586) 1-7 დეკემბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რა სტატუსით ნახულობს ლიზა იასკო მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილს



რატომ არის ექსპრეზიდენტი პრივილეგირებული ტუსაღი და იყვნენ თუ არა „ნაცების“ დროს პრივილეგირებული პატიმრები

სისხლიანი 7 ნოემბრიდან მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესამდე

რითი იმართლებს თავს ექსპრეზიდენტი და როგორ მზადდებოდა ხალხის დარბევა

„საქართველოში ანტივაქსერების მიტინგებს რუსეთის უშიშროება აწყობს!“

რა ვიცით კორონას ახალ, სამხრეთ აფრიკაში აღმოჩენილ შტამზე – სკანდალური ინტერვიუ გიორგი ფხაკაძესთან

გურამ მაჭარაშვილი: „სააკაშვილი რაც მეტად ილაპარაკებს, უფრო მალე მოხდება პოლიტიკიდან მისი ჩამოცილება“

„ნაცმოძრაობა ცდილობს, შექმნას ილუზია, არიქა, კრიზისიაო!“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

როგორ დაგეგმა მოღალატე ცოლმა ქმრის მკვლელობა

საბედისწერო მასრა, რომლითაც გამოძიება დამნაშავეზე გავიდა

სისხლიანი 7 ნოემბრიდან მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესამდე

რითი იმართლებს თავს ექსპრეზიდენტი და როგორ მზადდებოდა ხალხის დარბევა

ნინო დოლიძე

იმ დღეს, როცა სასამართლოს წინაშე წარსდგებოდა, ყველა ან თითქმის ყველა ის ადამიანი ელოდა, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბრის სისხლიანი მოვლენების მონაწილეა. ისეთებიც არიან, რომლებიც მაშინ დაზარალდნენ, თუმცა დღეს ყველაფერს სხვა თვალით უყურებენ და საქართველოს მესამე პრეზიდენტის ციხიდან გამოშვებას ითხოვენ. რას ფიქრობს თავად მიხეილ სააკაშვილი 7 ნოემბერზე? ალბათ, ვინმეს ეგონა, რომ ექსპრეზიდენტი რაღაცებს გადააფასებდა და იტყოდა, რომ მისმა ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, თუმცა რეალობა ისაა, რომ სააკაშვილი ისევ ძველ ჩვენებას „აწვება“ და ამბობს, 14 წლის წინ, საქართველოში, პრაქტიკულად, სახელმწიფო გადატრიალება იგეგმებოდა, რომლის უკანაც კრემლი იდგა. მეტიც, სააკაშვილი 7 ნოემბერსა და 20 ივნისს ადარებს და ამბობს, რომ 20 ივნისს უფრო მეტი ადამიანი დაზარალდა, ვიდრე – 7 ნოემბერს.

* * *

„რაც შეეხება 7 ნოემბრის საქმეს. ჯერ ერთი, რომ ატრიალებთ მუდმივად 7 ნოემბრის კადრებს, რომლებიც ჩემთვის ძალიან უსიამოვნო საყურებელია და მე დღემდე ცუდად ვიგონებ ამას, გუშინ არ გქონდათ 20 ივნისი? შეადარეთ დაზარალებულთა რაოდენობა 20 ივნისს და 7 ნოემბერს. გუშინ არ გქონდათ ლექსო ლაშქარავას მკვლელობა, რომელიც წაახალისა საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირმა თავისი პირდაპირი მოწოდებით, მაგრამ მე მინდა ვილაპარაკო იმაზე, რა გეოპოლოტიკური კონტექსტი იყო მაშინ საქართველოში.

საქართველო მიდიოდა ნატო-სკენ, 2006-ში პუტინმა მითხრა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს პროცესი შეაჩეროს. იმ წელს, ბელორუსის პრეზიდენტმა, ლუკაშენკომ მითხრა, ვინ არის ეს არკადი პატარკაციშვილი, ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, ჩემთან უნდა ჩამოსვლაო და ითხოვს ნებართვას, რომ მე შემხვდეს. მე ვუთხარი, როგორც გინდა, ჰქენი-თქო, მაგრამ არაფერი სარფიანი მაგ საქმიდან არ გამოვა, ნუ, არ მიიღო. მერე პატარკაციშვილი მაინც ჩადის მინსკში და მერე მიყვება ლუკაშენკო – დამირეკა პუტინმაო და მითხრაო, ბიჭები მოვლენ და დაელაპარაკებიან პატარკაციშვილს, შენთვის არ არის აუცილებელი მათთან შეხვედრაო. „ეფ ეს ბე“-ს სამი გენერალი ჩავიდა, ეს არის ლუკაშენკოს ნათქვამი და პატარკაციშვილს წინასწარ შეხვდნენ და პუტინმა გამოუცხადა, რომ ეს არის საქართველოს შემდეგი პრეზიდენტი. ეს ხდება 2007 წლის სექტემბერში.

ამის შემდეგ იწყება კამპანია, რომ უნდა იყოს დიდი გამოსვლები, პატარკაციშვილის მიერ ორგანიზებული და დაფინანსებული. პატარკაციშვილის ფული იყო მთლიანად რუსული ფული. სუს-ში უნდა ინახებოდეს აშშ-ის ფედერალური გამოძიების ბიუროს წერილი, რომელიც მათ მოგვწერეს 2007 წლის შემოდგომაზე, დაახლოებით, ოქტომბერში, სადაც გვითხრეს, რომ ჩამოსულები იყვნენ ერევანში „კანონიერი ქურდები“ – უსოიანი და რამდენიმე ქართველი „კანონიერი ქურდი“, რომელთა ფუნქცია იყო არეულობის ორგანიზება საქართველოს დედაქალაქში. ეს არის „ეფ ბი აი“-ს გამაფრთხილებელი წერილი.

2007 წლის ოქტომბერში, თბილისში გაიმართა ისტორიული კონფერენცია. ჩამოვიდა ნატო-ს გენერალური მდივანი, ჩამოვიდა რამდენიმე საგარეო საქმეთა მინისტრი, აშშ-ის ელჩი ნატო-ში, სახელმწიფო მდივნის მოადგილე და კონფერენცია, რომელიც გრძელდებოდა რამდენიმე დღე, გაშუქდა ძალიან ფართოდ... პრაქტიკულად, გადაწყდა, საქართველოსთვის მაპ-ის მიღება. ისინი წავიდნენ საოცარი შთაბეჭდილებებით, რა მაგარი ქვეყანაა. წავიდნენ, თუ არ ვცდები, 30 ოქტომბერს, 2 ნოემბერს მოხდა ეს დიდი გამოსვლა, დემონსტრაცია თბილისში.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველა ადამიანი, ვინც ქუჩაში გამოვიდა, ან რუსეთის დაკრულზე ცეკვავდა, ან იცოდა პატარკაციშვილის გეგმების შესახებ. ეს იყო რთული პერიოდი იმ გაგებით, რომ ჩვენ ჩავატარეთ ძალიან მტკივნეული რეფორმები, რამდენიმე ათეული ათასი პოლიციელი, მაგალითად, დარჩა უმუშევარი. ძალიან ბევრი ადამიანი ვერ აეწყო ახალ რელსებზე. ინფლაცია მაგ დროისთვის იყო არა ისეთი დიდი, როგორც ახლა, მაგრამ იყო საკმაოდ მაღალი. მართალია, ეკონომიკური განვითარება იყო უფრო დიდი, ვიდრე ახლა, მაგრამ შემოსავალი ვიღაცას ჰქონდა უფრო მაღალი, ვიღაცა კი გაღარიბდა. ამიტომ, ხალხს ჰქონდა ობიექტური მიზეზი, რომ ჩვენზე ყოფილიყო გაბრაზებული. ამიტომ, მართლაც იყო დიდი მიტინგი, ჩვენ ეს მივიღეთ, როგორც სიგნალი. ამ მიტინგზე მოვიდა პატარკაციშვილი, წარმოსთქვა სიტყვა და ამით ყველაფერი ნათელი იყო, რისთის და როგორ ეწყობოდა ეს.

შემდეგ, გაგრძელდა პატარა საპროტესტო აქციები. 7-ში, დილას, მაღვიძებენ და მეუბნებიან, რომ პოლიციას პატარა შეტაკება მოუვიდა იმასთან, მერე გადაიზარდა იმაში, დაახლოებით, ის მოხდა, რაც დღეს, სასამართლოს წინ. ამის შემდეგ ბევრი ხალხი გამოვიდა და ავანსცენაზე იყო შს მინისტრი. მე ამას ვუყურებდი ტელევიზორით, მე არანაირი ინსტრუქციები არ მიმიცია და ისინი ასრულებდნენ მოვალეობას, როგორც მათ ესმოდათ და როგორი გამოცდილებაც ჰქონდა ჩვენს პოლიციას, რომელიც იყო ძალიან ახალგაზრდა და ძალიან გამოუცდელი.

ღმერთმა დაგვიფარა და არავინ არ დაიღუპა ამ შეტაკებების დროს, ერთი ადამიანი დაშავდა მძიმედ. ეს ხდება ძალიან ბევრ ქვეყანაში და არავის აზრად არ მოსდის ამაზე საქმის აღძვრა, გარდა განსაკუთრებული მანიაკების. ამის შემდეგ გავაკეთე ის, რასაც, პრაქტიკულად, ძალიან ცოტა ლიდერი აკეთებს მსოფლიოში. მე გადავდექი, შევამცირე ჩემი საპრეზიდენტო ვადა წელიწადნახევრით და წავედი ახალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც გაჭირვებით, მაგრამ მოვიგე, რათა მიმეღო ახალი მანდატი ქართველი ხალხისგან, რატომ გავაკეთე ეს? – იმიტომ, რომ ჩამეშალა რუსული გეგმები და ამ მიტინგისა და გამოსვლების გამო, არ დაგვბლოკოდა ჩვენ ნატო-ში ინტეგრაცია. შემდეგ, პრეზიდენტმა ბუშმა მიმიწვია თებერვალში და მითხრა, ეს რა მაგარი რაღაცები გაგიკეთებიაო და მითხრა, რომ შენ რაც გააკეთე, რომ გადადექი, ამიტომ ხარ აქ და ამიტომ გიჭერ მხარს, რომ არ ეპოტინები ხელისუფლებას. ქართველმა ხალხმა გამოიტანა ვერდიქტი ამ საქმეზე“, – განაცხადა 29 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა საქმეზე უკვე მსჯავრდებულია. 30-ში კი, სასამართლო 7 ნოემბრის საქმეს განიხილავდა.

იმის თქმა, რომ 7 ნოემბრის გამოსვლები რუსეთის ინტერესში არ შედიოდა, რასაკვირველია, ხელაღებით არ შეიძლება და ისიც ფაქტია, რომ მაშინ მაპ-ი ძალიან ახლოს იყო, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა და შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსაც დავშორდით, თუმცა ყველაფერ ამის მიუხედავად, ვერავინ უარყოფს, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, სახელმწიფომ გადამეტებული ძალა გამოიყენა.

და მაინც, რა ხდებოდა და რა პროცესები უძღოდა 2007 წლის 7 ნოემბერს? – „ვერსია“ 14 წლის წინანდელი მოვლენების მოკლე ქრონოლოგიას გთავაზობთ.

როგორ მზადდებოდა 7 ნოემბერი

2007 წლის 12 სექტემბერი – შიდა ქართლის რეგიონის გუბერნატორი, მიხეილ ქარელი, რომელიც თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებული პირია, თანამდებობას ტოვებს. ქარელმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ცნობილი გახდა, რომ გორის გამგეობის რამდენიმე მაღალჩინოსანი კორუფციის ბრალდებით დააპატიმრეს.

14 სექტემბერი – ოქრუაშვილთან დაახლოებული ორი დეპუტატი – თეო ტლაშაძე და ქეთევან მახარაშვილი მმართველი პარტიას, ესე იგი, ნაცმოძრაობას ტოვებენ.

25 სექტემბერი – პრეზიდენტის საპარლამენტო მდივან დიმიტრი ქიტოშვილს, რომელიც ასევე, ოქრუაშვილის გარემოცვის წევრია, გამოძალვის ბრალდებით აპატიმრებენ. იმავე დღეს, შემოსავლების სამსახური ოქრუაშვილის მეგობრის, ქიბარ ხალვაშის ბიზნესსაქმიანობის შესწავლას იწყებს.

25 სექტემბერსვე, ოქრუაშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკურ პარტიას აფუძნებს, რომელსაც „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ერქმევა. პარალელურად, თავდაცვის ექსმინისტრი, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში, სააკაშვილის კარზე ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად ითვლება, პრეზიდენტს ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმასა და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის დაკვეთაში ადანაშაულებს.

სიმბოლური დამთხვევა – 27 სექტემბერს, ესე იგი, სოხუმის დაცემის დღეს, ქვეყნის თავდაცვის ყოფილ მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს ფულის გამოძალვის, გათეთრების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით აპატიმრებენ.

დასასრული მე-3 გვერდზე

სისხლიანი 7 ნოემბრიდან მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესამდე

მე-2 გვერდიდან

28 სექტემბერი – პარლამენტის წინ, ოქრუაშვილის გათავისუფლების, ვადამდელი არჩევნებისა და საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმების მოთხოვნით, ათასობით ადამიანი იკრიბება.

29 სექტემბერი – პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ექსმეგობარ ოქრუაშვილზე პირველ კომენტარს აკეთებს და ამბობს, რასაც ოქრუაშვილი მაბრალებს, სიცრუეაო..

8 ოქტომბერი – ოქრუაშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს უარყოფს და აცხადებს, მინდოდა, ამ ბრალდებებით, მე და ბადრი პატარკაციშვილს პოლიტიკური დივიდენდები მიგვეღოო.

ამასთან, ოქრუაშვილი ფულის გამოძალვასა და სამსახურეობრივ გულგრილობასაც აღიარებს. რამდენიმე დღეში, თავდაცვის ექსმინისტრი 10-მილიონიან გირაოს იხდის და საპატიმროს ტოვებს. ისე, საინტერესოა, სახელმწიფო მოხელეს ამდენი ფული საიდან ჰქონდა?!

10 ოქტომბერი – ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, მმართველი პარტიისა და ოპოზიციის დაპირისპირებაში ღიად ერთვება და აცხადებს, ქვეყანაში არსებულმა რთულმა სიტუაციამ, შესაძლოა, მაიძულოს, რომ პოლიტიკაში მოვიდეო.

11 ოქტომბერი – ოქრუაშვილის მხარდამჭერები საზოგადოებას თავდაცვის ყოფილი მინისტრის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ამცნობენ.

17 ოქტომბერი – ათი ოპოზიციური პარტია, რომელიც ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით ერთობლივ კამპანიას აწარმოებს, 12-პუნქტიან მანიფესტს აქვეყნებს.

19 ოქტომბერი – ქუთაისში, ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ აქციაზე ათასობით ადამიანი იკრიბება. ქუთაისის მიტინგი 2 ნოემბერს, თბილისში დაგეგმილი მასობრივი საპროტესტო აქციის ერთგვარი რეპეტიციაა.

22 ოქტომბერი – ათი პარტიისგან შემდგარი კოალიცია პერმანენტულ აქციებზე საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

23 ოქტომბერი – ბათუმში, ოპოზიციის ორგანიზებით, რამდენიმეათასიანი აქცია იმართება.

25 ოქტომბერი – საქართველოს გზის, თავისუფლებისა და რესპუბლიკელების ლიდერები – სალომე ზურაბიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და დავით უსუფაშვილი ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელს, ხავიერ სოლანას ხვდებიან.

28 ოქტომბერი – ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი აცხადებს, რომ ოპოზიციას დააფინანსებს, რათა აქციები „ცივილიზებული გზით“ გამართოს.

იმავე დღეს, ზუგდიდში, ოპოზიციის მიერ გამართული საპროტესტო აქციის შემდეგ, მმართველი პარტიის მხარდამჭერები ორ ოპოზიციონერ დეპუტატსა და ოპოზიციის რამდენიმე აქტივისტს სცემენ.

30 ოქტომბერი – დეპუტატი გიგა ბოკერია აცხადებს, რომ ხელისუფლება, არჩევნების დღესთან დაკავშირებით, კომპრომისზე წასვლას არ აპირებს.

1 ნოემბერი – რეგიონებიდან თბილისში, 2 ნოემბრისთვის დაანონსებულ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მისაღებად, ათასობით ადამიანი ჩამოდის.

2 ნოემბერი – პარლამენტის წინ, ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ აქციაზე ათიათასობით ადამიანი იკრიბება.

იმავე დღეს, ოპოზიციის ლიდერები პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს ხვდებიან. მოგვიანებით, ბურჯანაძე აცხადებს, რომ ხელისუფლება, არჩევნების დღესთან დაკავშირებით, კომპრომისზე წასვლას არ აპირებს.

3 ნოემბერი – პარლამენტის წინ, საპროტესტო აქცია განახლდა. ოპოზიცია ამბობს, რომ მისი მთავარი მოთხოვნა პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომაა.

7 ნოემბერი – დღის პირველ ნახევარში, პოლიცია პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას ცრემლსადენი აირით, ხელკეტებით, რეზინის ტყვიებით, აკუსტიკური თოფებითა და წყლის ჭავლით შლის.

დაბინდებისთანავე, ნიღბიანი სპეცრაზმელები ტელეკომპანიების – „იმედი“ და „კავკასია“ – სტუდიებს არბევს, რის გამოც, ორივე ტელევიზია მაუწყებლობას წყვეტს.

გვიან ღამით, პრეზიდენტი სააკაშვილი თბილისში, საგანგებო ვითარებას აცხადებს.

8 ნოემბერი – დილის 11.00 საათზე, ბათუმის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სპეცრაზმი სტუდენტურ აქციას არბევს.

ამასთან, ოფიციალური თბილისი საქართველოდან სამ რუს დიპლომატს აძევებს. ოფიციალური კრემლი საპასუხო ნაბიჯს დგამს და რუსეთიდან სამ ქართველ დიპლომატს აძევებს.

პრეზიდენტი სააკაშვილი ვადამდელ საპრეზიდენტო, საპარლამენტო არჩევნებსა და, ასევე, რეფერენდუმს ნიშნავს.

16 ნოემბერი – საქართველოს მასშტაბით, 7 ნოემბერს დაწესებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება.

„ხალხი დაიღალა გაუთავებელი ექსპერიმენტებით – ოქრუაშვილი-პატარკაციშვილის. ერთი, არქიფო სეთურივით, ლონდონიდან გვიგზავნის ეპისტოლეებს და გვმოძღვრავს, მეორე კი აქციის დაშლა-არდაშლაზე გველაპარაკება“, – ამბობს საგანგებო ბრიფინგზე თბილისის მერი, გიგი უგულავა.

სისხლიანი 7 ნოემბრის ქრონიკა

2007 წლის 7 ნოემბრის ალიონს თბილისი წვიმით შეეგება – თითქოს, დედაბუნებას ავი წინათგრძნობა ჰქონდა და იმას გლოვობდა, რაც რამდენიმე საათში უნდა მომხდარიყო.

10.00 საათზე, პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქცია ოფიციალურად განახლდება. დაახლოებით, ერთ საათში, დემონსტრანტები გზის სავალ ნაწილზე გადასვლას დაიწყებენ, რასაც სამართალდამცველებთან დაპირისპირება და რამდენიმე პირის დაკავება მოჰყვება.

მედია ელბაქიძის დაღმართსა და „ვარდების მოედანზე“, სპეცდანიშნულების რაზმების მობილიზების შესახებ იუწყება. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენაერთები მთაწმინდის პარკშიც განლაგდნენ.

ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ პატარკაციშვილის კუთვნილი მთაწმინდის პარკი დალუქულია.

პარლამენტის წინ არსებული ვითარება კულმინაციას 12:30 საათზე აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ საპატრულო პოლიცია აქციის დაშლას ხელკეტებით იწყებს.

12:50 საათზე, რუსთაველის გამზირზე სპეცრაზმი გამოჩნდება, რომელიც აქციის მონაწილეების წინააღმდეგ, წყლის ჭავლსა და ცრემლსადენ გაზს იყენებს... მოწამვლის, ნევროლოგიური შოკისა და რესპირატორული გზების დამწვრობით, სამედიცინო დაწესებულებებს 250-მდე პაციენტი მიმართავს.

16:00 საათისთვის, საპროტესტო აქცია რიყეზე გადაინაცვლებს, სადაც ხალხს ოპიზიციის ლიდერები მიმართავენ. ამასობაში, აქციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი პარლამენტისკენ იძვრება.

რიყეზე სამხედრო ქვედანაყოფებია მობილიზებული.

პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ოპოზიციის ლიდერთა სატელეფონო საუბრებსა და მათი შეხვედრების ვიდეოჩანაწერებს ავრცელებს. ფარულ კადრებში შალვა ნათელაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიები, ასევე, გოგა ხაინდრავა ფიგურირებენ.

შსს-ში აცხადებენ, რომ ოპოზიციის ლიდერები რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებთან კოორდინირებდნენ.

საქართველო, რუსეთიდან ელჩს, ირაკლი ჩუბინიშვილს იწვევს. ამასთან, საგარეო უწყებაში რუს დიპლომატ ვიაჩესლავ კოვალენკოს იბარებენ.

17:40 საათზე, რიყეზე აქციის დარბევა იწყება. სპეცრაზმი კვლავ წყლის ჭავლსა და ცრემლსადენ გაზს იყენებს.

მოგვიანებით, ბადრი პატარკაციშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს და მომხდარს „ბოლშევიკური პუტჩს“ უწოდებს:

„სიმბოლურია, რომ ზუსტად დღეს, 7 ნოემბერს, ბოლშევიკური პუტჩიდან 90 წლის თავზე, საქართველო ახალ ტრაგედიას განიცდის.

ნურავის შეეპარება ეჭვი, რომ მთელი ჩემი ძალ-ღონე, მთელი ჩემი ფინანსური რესურსი – უკანასკნელი თეთრის ჩათვლით, გამოყენებული იქნება საქართველოს ფაშისტური რეჟიმისაგან გასათავისუფლებლად. საქართველოს გაუმარჯოს!“

მმართველი გუნდი პატარკაციშვილის ამ განცხადებას ხელისუფლების დამხობის პირდაპირ მოწოდებად აღიქვამს.

20:55 საათზე, სპეცდანიშნულების რაზმი ტელეკომპანია „იმედში“ შედის. ტელევიზიასთან მოქალაქეები იკრიბებიან. საპატრულო პოლიცია ხალხს ხელკეტებითა და წიხლებით უსწორდება. ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტელეკომპანიის მიმდებარე ტერიტორიაზე ცრემლსადენი გაზი გაუშვეს... მოგვიანებით, „იმედის“ ჟურნალისტები იტყვიან, რომ სპეცრაზმის თანამშრომლები სასტიკად ექცეოდნენ – იატაკზე დააწვინეს და იარაღი დაადეს...

სხვათა შორის, 2007 წლის 7 ნოემბრის ამბებზე საუბრისას, მიხეილ სააკაშვილს ყველაფერი ის, რაც ახლა თქვა, მაშინ არ უთქვამს. უბრალოდ, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიისას, მომხდარზე სინანული გამოთქვა:

„შვიდმა ნოემბერმა ჩვენ, ყველას გვასწავლა დიდი გაკვეთილი. დაგვანახა ის შეცდომები, რომელსაც მანამდე ვუშვებდით ჩვენ, საქართველოს ხელისუფლება. დაგვანახა, რამდენად მეტად უნდა უსმინოს მთავრობამ და პრეზიდენტმა საკუთარ ხალხს, რომ არ ჩაწყდეს ხიდი და არ გაწყდეს დიალოგი მთავრობასა და საზოგადოების თუნდაც ყველაზე პატარა ჯგუფს შორის“.

ასეა თუ ისე, სჯობს, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ ენმ-ს, როგორც მმართველი ძალის დასამარებაში ერთ-ერთი აგური, სწორედ სისხლიანი 7 ნოემბერი იყო და ახლა, მნიშვნელობა არ აქვს, ყველაფერ იმის უკან ვინ იდგა.

სხვათა შორის, 7 ნოემბერმა ისიც კიდევ ერთხელ ნათლად გამოაჩინა, რომ ჩვენს ოპოზიციას, განსაცდელის მიუხედავად, ერთ მუშტად შეკვრა არ შეუძლია ანუ 7 ნოემბრის შემდეგ, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია კი შეიქმნა, მაგრამ როგორც იმხანად კულუარებში ამბობდნენ, ამ გაერთიანებაში შემავალ ყველა სუბიექტს კერძო ინტერესები ამოძრავებდა, რაც გამოჩნდა კიდეც: გაერთიანებულმა ოპოზიციამ იმდენი ვერ შეძლო, რომ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი ბადრი პატარკაციშვილისთვის დაეჭირა. ამიტომ, ცხონებული ოლიგარქი, რომელიც, პრაქტიკულად, 2007 წლის ნოემბრის მოვლენების მოტორი იყო, ვადამდელ არჩევნებზე, მარტოხელა მგლის ამპლუაში მოგვევლინა. გაერთიანებულმა ოპოზიციამ, რომელსაც, როგორც ამბობენ, გარკვეულ ფინანსურ დახმარებას სწორედ პატარკაციშვილი უწევდა, ოლიგარქს კონკურენტად ლევან გაჩეჩილაძე „ჩაუსვა“. გაჩეჩილაძე კი, როგორც მოგვიანებით ბადრი ბიწაძემ განაცხადა, ფარულად, თურმე, სააკაშვილს ხვდებოდა.

ასე რომ, ყოველივე ზემოთქმულის გაანალიზებით, სურათი ასეთია: ქართულ პოლიტიკურ ელიტას ჭირიც ვერ აერთიანებს.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„საქართველოში ანტივაქსერების მიტინგებს რუსეთის უშიშროება აწყობს!“

რა ვიცით კორონას ახალ, სამხრეთ აფრიკაში აღმოჩენილ შტამზე – სკანდალური ინტერვიუ გიორგი ფხაკაძესთან

„ბი ბი სი“ იუწყება, რომ კორონავირუსის ახალ შტამს, რომელიც სამხრეთ აფრიკაში აღმოაჩინეს, მრავალი მუტაცია აქვს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ „ომიკრონ“-ს „შემაშფოთებელი ვარიანტი“ უწოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვირუსის გავრცელების სისწრაფე შეიძლება მაღალი იყოს, ამასთან, ახასიათებდეს მაღალი ვირულენტობა (დაავადების გამოწვევის ინტენსივობის უნარი) და ასევე, შესაძლოა, ამ შტამის მიმართ არსებული ვაქცინები მაღალეფექტური არ იყოს. კორონავირუსის ახალ შტამსა და ზოგადად, ეპიდვითარებაზე „ვერსია“ ჯანდაცვის მსოფლიო ექსპერტს, გიორგი ფხაკაძეს ესაუბრა:

– ჯერჯერობით, ამ შტამის შესახებ ბევრი რამ არ ვიცით, რადგან არსებობს მხოლოდ ერთი დასკვნა სამხრეთ აფრიკის ლაბორატორიის მიერ, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო ლაბორატორია ნამდვილად არაა. როცა მკვლევარებმა ინფორმაცია დადეს, აღმოჩნდა, რომ მუტაციის რაოდენობა იმაზე მეტი იყო, ვიდრე ვარაუდობდნენ. მეცნიერებმა კი ძალიან კარგად ვიცით, რამხელა მნიშვნელობა აქვს მუტაციას.

ზოგადად, ყველა ვაქცინა ითვალისწინებს, რომ შეიძლება, ვირუსმა განიცადოს მუტაცია და ეს უკვე ჩადებულია კვლევებში. სხვათა შორის, ამ მხრივ, „მოდერნა“ უფრო წინ წავიდა. როცა „ფაიზერმა“ მიიღო სრული აკრედიტაცია, „მოდერნამ“ გააგრძელა მუტანტების მიხედვით სვლა. საშიშროება იყო, რომ შტამმა, რომლის შესახებაც სამხრეთ აფრიკელებმა შეგვატყობინეს, 30 მუტაცია გაიარა და ამ შემთხვევაში, რთულია იმაზე საუბარი, რამდენად ეფექტური იქნება არსებული ვაქცინები. ამის დასადგენად, მინიმუმ, 10-14 დღეა საჭირო და შესაბამისად, ამ პერიოდში გვეცოდინება, რომელი ვაქცინა იქნება ამ შტამის მიმართ ეფექტური.

მაგალითად, უკვე ვიცით, რომ „ასტრაზენეკამ“ ვერა, მაგრამ „ფაიზერმა“ იმუშავა სამხრეთ აფრიკული ვარიანტის წინააღმდეგ. რამდენიმე ექსპერტი ვარაუდობს, რომ ის ვაქცინები, რომლებიც შედარებით დაბალეფექტურია, ვერ იქნება ეფექტური ამ შტამის მიმართ. მაღალეფექტური ვაქცინა კი მხოლოდ ორია: „ფაიზერ-ბიონტეკი“ და „მოდერნა“.

– ბატონო გიორგი, საქართველოში დეკემბრიდან, „მწვანე პასპორტი“ ამოქმედდება, ასევე, პენსიონერებს, აცრის შემთხვევაში, 200 ლარი გადაეცემათ. ამ გადაწყვეტილებებს და ზოგადად, საქართველოს ეპიდვითარებას როგორ აფასებთ?

– ყველაზე დიდი შეცდომა არჩევნების ჩატარება იყო, რადგან ახლა, გაქანებული ეპიდემია გვაქვს. ისრაელმა და იაპონიამ ჩაკეტეს საზღვრები, ეშინიათ ამ ახალი შტამის. საქართველოში კი მიტინგი-მიტინგზე იმართება, ანტივაქსერები ქეიფობენ და აქციებს აწყობენ! სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მხოლოდ „მწვანე პასპორტის“ შემოღება კი არა, მთელი პროცესის მართვაა და ამას ვერ ვხედავ.

– არსებულ ვითარებაში, „ლოქდაუნი“ და საზღვრების ჩაკეტვა გამოსავალი იქნება?

– „ლოქდაუნის“ კონცეფცია ისაა, რომ მძიმე მდგომარეობაში მოიგო დრო, რათა მოემზადო გრძელვადიანი გეგმისთვის. რომ გამოაცხადონ „ლოქდაუნი“, რა იქნება შემდეგ?! ვაქცინაციის გეგმა არ არსებობს და არაპროფესიონალები მართავენ პროცესს. ხომ უნდა არსებობდეს სტრატეგიული გეგმა?! ჩემი თვალსაზრისით, სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო დაადგეს „ჯოგური იმუნიტეტის“ გზას!

– ისრაელსა და ევროპის ქვეყნებში, სადაც ვაქცინაციის მაღალი მაჩვენებელია, საზღვრების ჩაკეტვა და რეგულაციების გამკაცრება საჭირო რატომღა ხდება?

– პასუხი მარტივია – ესენი პასუხისმგებლიანი სახელმწიფოები არიან, რომლებიც ფიქრობენ თითოეულ მოქალაქეზე და მათ სიცოცხლეზე. საქართველოში, დღეში 80 ადამიანი კვდება, მაგრამ საფეხბურთო მატჩი მიმდინარეობს და მიტინგებს ატარებენ! მედიის პრიორიტეტული საკითხი კი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის საქმეა. სულ არ მაინტერესებს, ყოფილი პრეზიდენტი ციხეშია თუ არა, რადგან დღეში 80 ადამიანი კვდება და ეს არის ჩემთვის მთავარი!!! ევროპაში ერთი ადამიანის გარდაცვალებას პანიკა მოჰყვება, ჩვენთან 80 ადამიანი მოკვდა და იმაზე საუბრობენ, რესტორანში ვერ შევდივარო, ადამიანის სიცოცხლის ფასი არ ვიცით!

დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა დღემდე ვერ ჩამოიტანა საქართველოში ლაბორატორია, რომელიც პირბადის ხარისხს განსაზღვრავს. მილიარდობით ფული დახარჯეს, ღმერთმა იცის, რაში და 50 000 დოლარი ვერ გადაიხადეს, რომ ჩინური ლაბორატორია მაინც ჩამოიტანონ, რათა დაადგინონ, არის თუ არა საქართველოში არსებული პირბადეები მაღალი ხარისხის. ვიცი, რომ არიან კომპანიები საქართველოში, რომლებიც უშვებენ „ტუალეტის ქაღალდს“ და ამბობენ, ეს სამედიცინო პირბადეაო.

სხვათა შორის, აქვთ დაავადებათა კონტროლის ცენტრის საბუთი, რომ ეს პირბადეა, წარმოგიდგენიათ?! ისინი ამაში ხელფასს იღებენ, ჩვენს მიერ დაქირავებული ადამიანები არიან და რას აკეთებენ? საინფორმაციო კამპანია სად არის ქვეყანაში? – არ არსებობს!

ვაქცინაციის საბჭოს წევრებზე გამოაქვეყნონ ბიოგრაფიები, რის საფუძველზე არიან ეს ადამიანები იქ არჩეულნი?! სულ არ მაინტერესებს, ცნობადია თუ არა, მაინტერესებს, რა აქვთ დაწერილი და გაკეთებული მეცნიერული კუთხით. საქართველოში ბევრ ცნობად ექიმს წიგნი არ წაუკითხავს ბოლო 20 წელია და ჩემთვის აბსოლუტურად ნულია.

თუ პრეტენზია აქვთ, რომ ცნობილი ექიმები არიან, სტატია მაინც უნდა ჰქონდეთ დაწერილი ბოლო 5 წლის განმავლობაში!

საქართველოში აბსოლუტურად განულებულია მეცნიერება! უდიდესი პრეტენზია მაქვს და პირდაპირ ვადანაშაულებ ჩვენს მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც უნდა დაიხუროს!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია უნდა ყოფილიყო ზეპარტიული და დაეკავებინა ის თამასა, რომ ეთქვა, ეს არის თეთრი და ეს შავიო, მაგრამ ეს არ ხდება. როცა ქვეყანაში მეცნიერება არ გაქვს, ეს უნდა აღიარო და თქვა, რომ რაც გააკეთა, მაგალითად, საფრანგეთმა, ჩვენც გავაკეთებთ იმას და მორჩა!

რა პროტოკოლებს ადგენენ, ვის აქვს საქართველოში ამის გამოცდილება?! რატომ ვიტყუებთ თავს? ამ ტყუილების შედეგად კვდება ხალხი, დღეში 80 ადამიანი იღუპება!

ანტივაქსერების მიტინგები რომ იმართება საქართველოში, გადახედეთ, მათ უკან ვინ დგას – ჩვეულებრივი რუსული პროპაგანდაა! თუ ორი უჯრედი მაინც აქვს ადამიანს, მიხვდება, რომ ანტივაქსერები არიან დაფინანსებულები რუსეთის მიერ. რუსეთის უშიშროება აწყობს ანტივაქსერების მიტინგებს – ეს ხომ ორჯერ ორი, ოთხია!

– კი, მაგრამ ანტივაქსერები მიტინგებს ევროპაშიც ხომ აწყობენ?

– რადგანაც რუსეთმა ვერ მოიკიდა ფეხი ვერსად, ძირითადად, ცდილობს, ყველგან შეჰყოს თავი, სადაც ეს რადიკალური პარტიებია. მაგალითია ქალბატონი ლეპენი, რომელიც ყველაზე რადიკალური პარტიაა საფრანგეთში და ვისგან აქვს მას აღებული კრედიტი? – რუსეთის ბანკიდან ანუ საფრანგეთშიც კი რადიკალური პარტიები არიან ფინანსურად მხარდაჭერილნი რუსეთის მიერ.

დასავლეთის დესტაბილიზაცია ვის აწყობს? – რუსეთს! საქართველოში, გგონიათ, ბევრი ფულია საჭირო? ერთ მილიონად მთელ პარტიას იყიდი... მოუსმინეთ ამ ანტივაქსერი რადიკალების მესიჯებს და გადახედეთ რუსეთის მთავრობის მესიჯებს – არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან და თუ ეს ხალხი ჩემს წინააღმდეგაა, ე.ი. მე მართალი ვარ.

ამ დროს ჩნდება კითხვა, სად არის სახელმწიფო? ჩვენ ორი ქვეყანა გვაქვს ქვეყანაში – კოვიდი და რუსეთი, სხვა ყველა პრობლემა მოგვარებადია. სახელმწიფო კი გადაწყვეტილებას ვერ იღებს. „მწვანე პასპორტიც“ კი დაგვიანებულია, ეს „მწვანე პასპორტიც“ კი არაა, თავის მოტყუებაა.

უნდა ვაღიაროთ, საქართველოში კოვიდპანდემია არ იმართება. საქართველოში დეკემბერი იქნება უმძიმესი, ეს ადრე თქვენთან ინტერვიუშიც ვთქვი და ასე იქნება.

– ბოლოს, მკითხველს რას ურჩევთ ამ მძიმე პანდემიურ ვითარებაში?

– თქვენ მიხედეთ საკუთარ თავს, ნურავის უსმენთ, დაუჯერეთ საკუთარ მოსაზრებას და ჩემზე უკეთ იცით, როგორ დაიცვათ თავი. პირველ რიგში, სამედიცინო, ე.წ. ფხაკაძის პირბადეზე უკეთესი გამოსავალი არ არსებობს, მოიმარაგეთ პირბადეები. ვისაც გაქვთ საშუალება და სურვილი, გირჩევთ, რომ აიცრათ „ფაიზერის“ ვაქცინით, რომელიც საქართველოში ხელმისაწვდომია. დაიცავით დისტანცია, ნუ დადიხართ მიტინგებზე, თავშეყრის ადგილებში და მაქსიმალურად ეცადეთ, რომ გაანიავოთ ოთახები, სამუშაო ადგილები და იყავით პოზიტიურად განწყობილნი, რადგან ამდენი ნეგატივი ქვეყანაში, ამძაფრებს არსებულ ვითარებას.

მჯერა, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს, თუმცა სანამ ამ საღ აზრამდე მივალთ, ბევრი ადამიანის სიცოცხლე დაიკარგება. გჯეროდეთ, რომ გიორგი ფხაკაძე ყოველთვის იტყვის სიმართლეს, ჩემგან მიიღებთ უახლეს ინფორმაციებს და როცა ვიტყვი, „ხაჭაპური გამომცხვარია“, შეგიძლიათ, მიირთვათ ეს „ხაჭაპური“.

გურამ მაჭარაშვილი: „სააკაშვილი რაც მეტად ილაპარაკებს, უფრო მალე მოხდება პოლიტიკიდან მისი ჩამოცილება“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ნაცმოძრაობა ცდილობს, შექმნას ილუზია, არიქა, კრიზისიაო!“

საქართველოს პარლამენტში განხილვის მთავარი თემა მომავალი წლის ბიუჯეტია, თუმცა საკანონმდებლო ორგანოში სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც მსჯელობენ. პარალელურად, ოპოზიციაც აქტიურობს – 29 ნოემბერს, საქალაქო სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის პროცესი გაიმართა, სადაც მესამე პრეზიდენტმა საკმაოდ ვრცელ გამოსვლაში პოლიტიკური პროცესებიც მიმოიხილა. ნაციონალურ მოძრაობაში აცხადებენ, რომ რამდენიმე დღეში გაამჟღავნებენ საპროტესტო გეგმას, რომელიც ფართო სპექტრით გაიშლება და, სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით, პროცესები მნიშვნელოვნად გამწვავდება... ყველა ამ თემაზე „ვერსია“ საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, უმრავლესობის წევრ გურამ მაჭარაშვილს ესაუბრა.

– ბატონო გურამ, რა არის მთავარი დღეს, საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგში?

– პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მთავარი ქვეყნის საფინანსო დოკუმენტი ანუ ბიუჯეტია, რომელიც განსაზღვრავს 2022 წლის ფინანსურ მდგომარეობას. პრემიერმა დააანონსა, რომ სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე მოქალაქეებს ექნებათ გარკვეული ალტერნატივა სამსახურების სახით. გარდა ამისა, დღის წესრიგშია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა ცვლილებები თვითმმართველობის კოდექსსა და სისხლის სამართლის კოდექსში, სადაც ადამიანის უფლებების გაძლიერების კუთხით, ბევრი ცვლილება შედის, მათ შორის, მთავრობის მიერ ინიცირებულიც. ნარკომომხმარებლებთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, ლიბერალიზაცია იგეგმება, ხოლო მეორე მხრივ – კანონი მკაცრდება გამსაღებლების მიმართ...

– ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ 30 ნოემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროსაბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შეხვდა, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის წინ, მნიშვნელოვანია. ამ ვიზიტის შესახებ რას იტყვით, შესაძლოა, შარლ მიშელთან ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ვითარებაზეც იყოს საუბარი?

– ზოგადად, ჩვენს პარტნიორებში ყოველთვის იყო საქართველოს საგარეო კურსსა და შიდაპოლიტიკური ვითარების მიმართ ინტერესი გამომდინარე, რადგან ჩვენმა საზოგადოებამ გადაწყვიტა, იყოს ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი და ბუნებრივია, აკვირდებიან და ეხმარებიან ჩვენი ქვეყნის განვითარებას. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს ხასიათშიცაა მოჭარბებული აქტიურობა, როგორც საგარეო კურსთან, ასევე, შიდაპოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებითაც, შესაძლოა, იყოს საუბარი. გასაგებია, რომ მათთვის ინფორმირებულობა მნიშვნელოვანია – ქვეყნის ხელისუფლებაში არის პოლიტიკური ძალა, რომელმაც ამ 9 წლის განმავლობაში შეძლო, წინ წაეწია საგარეო კურსით ქვეყანა, რომელმაც აშშ-სა და დასავლეთიდან მიიღო უფრო მაღალი მხარდაჭერა, ვიდრე გვქონდა 9 წლის წინ, რასაც ეს მნიშვნელოვანი ვიზიტიც ადასტურებს. მეორე მხრივ კი, უზრუნველჰყო ის, რომ რუსეთის ფედერაციასთან პრაგმატული პოლიტიკის გატარების შედეგად, რაც ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტია ქვეყანაში, არ მოხდა სერიოზული კონფლიქტი და ეტაპობრივად, ყოველთვის მივმართავთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, როდესაც ე.წ. ოკუპაციის პროცესი, სამწუხაროდ, გრძელდება ხოლმე ტერიტორიების გადმოწევით, მოქალაქეების გატაცებით და ა.შ., თუმცა ძირითადი გამოწვევა რაც, სამწუხაროდ, 2008 წელს მოხდა, ჩვენ ასეთი რამის საშუალებას რუსეთის ფედერაციას არ მივცემთ. ასე რომ, ბუნებრივია, ჩვენი პარტნიორების მხრიდან ინტერესი არის.

– რაც შეეხება შიდაპოლიტიკურ პროცესებს, ვინმეს უნდა თუ არა, ქვეყანაში ახალი ამბების დღის წესრიგი ისევ მიხეილ სააკაშვილის გარშემო იქმნება. როგორ აფასებთ მის პოლიტგამოსვლას სასამართლოში?

– რაც მეტად ილაპარაკებს და გამოჩნდება, მით უფრო მალე მოხდება მისი ნელ-ნელა ჩამოცილება პოლიტიკური პროცესებიდან. ეს იმიტომ, რომ გუშინდელმა გამოსვლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, ეს ადამიანი ყველას და ყველაფერს დააბრალებს, მათ შორის, თავისივე გუნდის წევრებს დანაშაულის ჩადენას, ოღონდ თქვას, რომ ის იყო შეუმცდარი და როგორც პრეზიდენტს, შეცდომა არ დაუშვია.

– სხვათა შორის, მოიბოდაშა და ეს ბოდიში როგორ მიიღეთ, ბატონო გურამ?

– ბოდიში მოიხადა იმასთან დაკავშირებით, მე რომ აქ ვზივარ, ასეთი სასამართლო დავტოვეო. იმაზე კი არ მოიხადა ბოდიში, რა დანაშაულებიც ჩაიდინა და აი, ეს არის სწორედ პრობლემა! მან აღიარა 7 ნოემბრის დარბევის არასწორობა, სხვა დანაშაულები, მაგრამ დააბრალა თავის მინისტრებს. თქვა, რომ მისი შს მინისტრი მართავდა, რაც ნიშნავს, რომ მერაბიშვილმა სწორად მოიხადა სასჯელი, ასე აღიარა. ასევე თქვა, გირგვლიანის მკვლელობა პიარი იყოო, ეს ნიშნავს, რომ ის ვერ ხედავს, ზოგადად, დანაშაულში საკუთარ მონაწილეობას ანუ სურათი მივიღეთ ასეთი – თან ამბობს, რომ ის იყო სახელმწიფოს დამფუძნებელი მამა, მაგრამ ისე აშენებდა ვირტუალურად სახელმწიფოს, რომ მეორე მხრივ, მისი შს მინისტრის მხრიდან, უკანონო დარბევები, მისი საჯარო მოხელეების მხრიდან ქონებების გადაფორმებები, ასევე, სიცოცხლის, ჯანმრთელობის მოსპობა ხდებოდა და ამის პარალელურად, ის აშენებდა სახელმწიფოს. აი, ეს თქვა, თავისივე პირით!

მოკლედ, რაც მეტს ილაპარაკებს, მით უფრო დააჩქარებს იმ პროცესს, რაც ისედაც დაწყებულია, რადგან თუ ამჩნევთ, ნელ-ნელა პრიორიტეტული აღარაა მისი საკითხი იმიტომ, რომ აღარ შიმშილობს, ჯანმრთელობის პრობლემაც არ აქვს. სასამართლოშიც დაინახა ხალხმა, რომ არ ეტყობოდა არაფერი ჯანმრთლეობის მდგომარეობის გაუარესების კუთხით და უნდა, რომ იყოს ისევ ის, ვინც იყო 9 წლის წინ. არ მგონია, რომ ეს თემა კიდევ დიდხანს იყოს დღის წესრიგში.

– ნაციონალურ მოძრაობაში აცხადებენ, რომ საპროტესტო მუხტი გაფართოვდება და გამწვავდება, სააკაშვილმა მოუწოდა საკუთარ ამომრჩევლებს, რომ საქართველოს ყველა ადგილას შეიქმნას კომიტეტები მისი გათავისუფლების მოთხოვნით. ამ ფონზე, საინტერესოა, რა პოზიცია აქვს მმართველ ძალას, უმრავლესობას?...

– ეს სწორედ ამის დასტურია, რაზეც ვისაუბრე. მან დაინახა, რომ არაფერი გამოუვიდა ამ ე.წ. რევოლუციური სცენარებით, რომ არიქა, საზოგადოება მივარდებოდა და შტურმით აიღებდა ჯერ ციხეს, მერე – სასამართლოს და გაათავისუფლებდა. დაინახა, რომ ეს არ არის რეალური და ამიტომაც მოუწოდა საზოგადოებას, სოფლებში შექმნან ე.წ. რევოლუციური კომიტეტები. ეს განცხადება, ერთი მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ის უიმედობაშია და მეორე მხრივ – მას არ აღელვებს არაფერი, გარდა იმისა, რომ თავად იყოს ძალაუფლებაში. ყველას მოუწოდებს, გაათავისუფლონ, მოიყვანონ ხელისუფლებაში და სახელმწიფოს რა მოუვა, რა დესტრუქცია იქნება და ეს როგორ იმოქმედებს პანდემიაზე ან ეკონომიკაზე, არ ადარდებს. არა მხოლოდ თავის პარტიას, არამედ, სხვა ოპოზიციურ პარტიებსაც მოუწოდებს, რომ ის გაათავისუფლონ და დილემის წინაშე აღმოჩნდა ოპოზიის ნაწილი, რომელზეც ყოველთვის ვამბობდი, რომ სანამ ისინი მიხეილ სააკაშვილს აღიარებენ პოლიტპატიმრად და ნაცმოძრაობის დღის წესრიგში იქნებიან, საზოგადოების მხარდაჭერას ვერ მიიღებენ. როგორც ჩანს, ნაწილმა გაიგო ეს და ნახეთ, რომ ამ რადიკალური პროცესების მომხრეები არ არიან, მაგრამ თუ უფრო მეტად გაემიჯნებიან რადიკალურ ძალას, შანსი გაეზრდებათ, რათა 2024 წელს, მათაც რაღაც პროცენტი მიიღონ საპარლამენტო არჩევნებში.

– ბატონო გურამ, ახალი წელი მოდის და ალბათ, ხელისუფლებაც აღიარებს, რომ ხალხს ბევრი პრობლემა აქვს, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური, პანდემია მძვინვარებს, რასაც პოლიტიკური კრიზისიც ემატება. ამ ყველაფრიდან გამოსავალს სად ხედავთ?

– არაერთხელ მითქვამს, რომ პოლიტიკური კრიზისი იქმნება მაშინ, როცა ხელისუფლება ვერ მართავს პროცესებს. სად დაინახა საზოგადოებამ, რომ ხელისუფლება ვერ მართავს პროცესებს ან პარლამენტი ვერ იღებს კანონებს? ეს არის ნაცმოძრაობის ერთგვარი მცდელობა, რომ შექმნას ილუზია, არიქა, კრიზისიაო! შემოიტანეს აბსურდული მოთხოვნა რიგგარეშე არჩევნებზე, რომ ბოლოს და ბოლოს, ხალხმა გადაწყვიტოს ეს საკითხიო და უკაცრავად, მაგრამ 2020-ში და 2021-ში, აბა, ვინ გადაწყვიტა ეს შედეგები? ეს იგივე ხალხი არ იქნება? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი არჩევნებიც უნდა იყოს, ისინი თუ არ მოიგებენ, არ ცნობენ შედეგებს – ესაა მათი დევიზი და დემოკრატია. ასე რომ, პოლიტიკური კრიზისი არაა, უბრალოდ, ასეთი ოპოზიცია გვყავს, სამწუხაროდ. დარწმუნებული ვარ, ეს ახალი წელი გადაივლის და ნელ-ნელა, არსებული გამოწვევები ქვეყანაში დაიძლევა.

რეგულაციები, რომლებიც ონლაინ სათამაშო ბიზნესისთვის ამოქმედდება

ონლაინ-კაზინოების საშუალებით, ქვეყნიდან 1.5 მილიარდი ლარი გაედინება

მაკა რუხაძე

პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ონლაინ სათამაშო ბიზნესისთვის ახალი რეგულაციები ამოქმედდება. ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა უკვე მოამზადა ცვლილებების პროექტი, რომლითაც ონლაინ სათამაშო ბიზნესი საგადასახადო დაბეგვრის განსხვავებულ რეჟიმში მოექცევა. როგორც ლაშა ხუციშვილმა განაცხადა, ახალი რეგულაციების მიხედვით, განაწილებული მოგების ნაცვლად, 10%-იანი მოგების გადასახადით დაიბეგრება ე.წ. GGR-ი ანუ მიღებულ ფსონებსა და გაცემულ მოგებებს შორის სხვაობა. ფინანსთა მინისტრმა განმარტა, რომ დაბეგვრის ამგვარი რეჟიმი კონკრეტულად ამ სექტორში მიღებული პრაქტიკაა. გარდა ამისა, გაცემული მოგებები დაიბეგრება თანხის გატანისას 2%-იანი საშემოსავლო გადასახადით. მთლიანობაში, ონლაინ სათამაშო სექტორის გადასახადების დასაბეგრი ბაზა 65%-70%-ით გაიზრდება.

29 ნოემბერს, მთავრობის სხდომაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა სათამაშო ბიზნესის ახალი რეგულაციები დააანონსა. რეგულაციების შემოღების მიზანი, ონლაინ თამაშებზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალური შემცირებაა. მთავრობის მეთაურმა დააკონკრეტა, რას გულისხმობს მთავრობის მიერ ინიცირებული რეგულაციები:

„ონლაინ სათამაშო ბიზნესისთვის გათვალისწინებული იქნება ახალი საგადასახადო დაბეგვრის მექანიზმის შემოღება და ჯამურად, სექტორის გადასახადების დასაბეგრი ბაზა გაიზრდება 65%-70%-ით. მეორე საკითხია ასაკობრივი ზღვარი, რაც ნიშნავს, რომ 25 წლამდე, აზარტულ თამაშებში მონაწილეობის მიღება აეკრძალება ჩვენს მოქალაქეებს და აქაც, დეტალურად გვაქვს გაწერილი, თუ ვის შეეხება აღნიშნული შეზღუდვა – ესენი არიან სოციალურად დაუცველი პირები, რომლებიც დახმარებას იღებენ სახელმწიფოსგან, საჯარო მოხელეები, პირები, რომლებიც მიმართავენ შემოსავლების სამსახურს თვითშეზღუდვის მექანიზმის გამოყენების მოთხოვნით და პირები, რომლებიც მოხვდებიან ე.წ. შავ სიაში, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ოჯახის წევრების მოთხოვნით. ჯამში, პირთა წრე, რომელთაც აზარტულ თამაშებზე წვდომა შეეზღუდება, 1 მილიონამდე სრულწლოვანი ადამიანისგან შედგება. რაც შეეხება კონტროლის მექანიზმებს, აქაც კარგად გვაქვს გაწერილი შესაბამისი მექანიზმები“.

ირაკლი ღარიბაშვილმა მესამე საკითხზეც გააამახვილა ყურადღება და ესაა რეკლამის შეზღუდვა. ახალი რეგულაციების მიხედვით, სათამაშო ბიზნესის ყველანაირი სატელევიზიო, ასევე, გარე რეკლამა და ქართულ ვებ-გვერდებზე რეკლამის განთავსება იკრძალება. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, სათამაშო ბიზნესის ოპერატორებისთვის მხოლოდ სპონსორობის ხელშეკრულების გაფორმება იქნება დასაშვები და ეს დაშვებაც, ძირითადად, სპორტს შეეხება.

ახლა, დეტალურად განვიხილოთ, კონკრეტულად, რა ახალი რეგულაციები შემოდის ონლაინ სათამაშო ბიზნესის სექტორში და რა იცვლება, რეალურად:

„პირველი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის დგინდება ერთიანი ასაკობრივი ზღვარი, ვისთვისაც აზარტულ თამაშებში მონაწილეობა იკრძალება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ცვლილება ეხება საქართველოს ყველა მოქალაქეს 25 წლამდე და გავრცელდება, როგორც ონლაინ თამაშებზე, ასევე, ხმელეთის სათამაშო ობიექტებზეც – ასაკობრივი შეზღუდვა არ გავრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე! რაც შეეხება კონტროლის მექანიზმებს, აქ მნიშვნელოვანია ის, რომ აზარტული თამაშების ორგანიზატორები, ვალდებულები იქნებიან, მოგებული თანხა მოთამაშეს ჩაურიცხონ მხოლოდ პირად ანგარიშზე, ან თანხა გასცენ მხოლოდ მოთამაშედ რეგისტრირებულ პირზე.

იკრძალება ერთი მოთამაშის მიერ, მეორე მოთამაშეზე თანხის გადარიცხვა, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდავს სხვისი ანგარიშით თამაშით შესაძლებლობებს!

სათამაშო ანგარიშზე თანხის შეტანისა და გატანის წესი, ასევე, მოთამაშედ რეგისტრაციის წესი დარეგულირდება კანონქვემდებარე აქტით.

ახალი რეგულაციების მიხედვით, საგადასახადო მომსახურების პროვაიდერს ეკრძალება, ურთიერთობა დაამყაროს უცხოური სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ კომპანიებთან, მათ სასარგებლოდ გადახდების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. აგრეთვე, საგადასახადო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული იქნება, არ დაუშვას, რომ მის მიერ გამოშვებული საგადასახადო ბარათით, უცხოური სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი კომპანიის სასარგებლოდ თანხა გადაირიცხოს!“

ფინანსთა მინისტრის განმარტებით, შესაბამის კანონში ცვლილებების პროექტი მომზადებულია საკანონმდებლო დონეზე, რომლის მისაღებად, ფინანსთა სამინისტრო, უახლოეს მომავალში, საქართველოს პარლამენტთან მუშაობას დაიწყებს. კანონპროექტს, რომელსაც მთავრობის ინიციატივით, ფინანსთა სამინისტრო ამზადებს, პარლამენტი წლის ბოლომდე დაამტკიცებს.

აზარტული თამაშები ერთ-ერთი წამყვანი ინდუსტრიაა საქართველოში. ამ სექტორის შემოსავლები კომერციული ბანკების შემოსავლებსაც კი აჭარბებს. ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 7 ონლაინ-კაზინო, 90 ტოტალიზატორი და დაახლოებით, 6 400 სათამაშო აპარატია, თუმცა რამდენი მოთამაშეა ქვეყანაში, ამის სტატისტიკა არ არსებობს. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საქართველოს 700 ათასი მოქალაქე ანუ ყოველი მეხუთე, ლუდომანია.

ახალი საგადასახადო რეგულაციების შემოღება სათამაშო ბიზნესისთვის, პრემიერ-მინისტრმა 22 ნოემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე დააანონსა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სათამაშო ბიზნესისა და ონლაინ-კაზინოების საკითხი თითოეულ მოქალაქეს აწუხებს. მისივე თქმით, ონლაინ-კაზინოების საშუალებით, 1.5 მილიარდი ლარი ქვეყნიდან გაედინება, რადგან ამ დაწესებულებების მფლობელები, ძირითადად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან. ღარიბაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ონლაინ-კაზინოების მომხმარებლების დიდი ნაწილი – 99%, გაჭირვებული მოსახლეობაა ანუ ისინი, რომლებიც არ მუშაობენ.

რა ხარვეზებია აღმოჩენილი სახელმწიფო ქონების გადაცემაში

მაკა რუხაძე

აუდიტის მორიგი სკანდალური დასკვნა – დარღვევებით შედგენილი საინვესტიციო ხელშეკრულებები, დარღვეული ვადები და დაურიცხავი პირგასამტეხლო

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობით დაინტერესდა. აუდიტის ანგარიში, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2017-2018 წლებში, საინვესტიციო ვალდებულების სანაცვლოდ, სახელმწიფო ქონების გადაცემას ეხება. ეს ნიშნავს, რომ კონკრეტული ინვესტიციის განსახორციელებლად, სახელმწიფო მის საკუთრებაში არსებულ ქონებას გადასცემს ინვესტორს. ზოგადად, პრივატიზებისა და სახელმწიფო ქონების გადაცემის პროცესში, აუდიტორები უამრავ შეცდომებს, ხარვეზებსა და ნაკლს პოულობენ ხოლმე, მათ შორის, ეკონომიკური პროფილის სამინისტროებშიც კი, სადაც, როგორც წესი, შედარებით კვალიფიციური ფინანსისტები უნდა იყვნენ დასაქმებულნი. ვნახოთ, რა ხარვეზები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქოლგის ქვეშ არსებული, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სსიპ გახლავთ.

ხარვეზები კანონმდებლობაში

როგორც აღვნიშნეთ, პრივატიზება და ზოგადად, სახელმწიფო ქონების გასხვისება ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა, რა დროსაც საბიუჯეტო ორგანიზაციები საკმაოდ უხეშ შეცდომებს უშვებენ. გამონაკლისი არც აუდიტის დღევანდელი ანგარიში გახლავთ. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, საპრივატიზებო პირობებში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება უჭირთ, რაც ქმნის განუსაზღვრელობას და რისკებს, რომ პრივატიზების პირობებით დადგენილი მიზნები შესრულდება არაჯეროვნად ან დაგვიანებით.

„არ არსებობს საპრივატიზებო პირობის შეცვლის სანაცვლოდ დასაწესებელი ანაზღაურების დადგენის კანონმდებლობით გაწერილი კრიტერიუმები, რაც ხელს არ უწყობს პროცესის გამჭვირვალობას. ინვესტორისთვის ვალდებულების შესრულების ვადის ოფიციალურად შეცვლა საქართველოს მთავრობის პრეროგატივაა, თუმცა სააგენტოს აქვს უფლებამოსილება, ინვესტორს განუსაზღვროს დარღვევის გამოსწორების ვადა. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული სააგენტოს მიერ ინვესტორისთვის დარღვევის გამოსწორების ვადის დაწესების მაქსიმალური პერიოდი, შესაბამისად, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ფაქტობრივად, მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება დარღვევების გამოსწორების ვადების დადგენასთან დაკავშირებით, რაც არასათანადო დასაბუთების შემთხვევაში, გადაწყვეტილების გაუმჭვირვალედ მიღების რისკს ქმნის“, – ვკითხულობთ აუდიტის ანგარიშში.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს გარკვეული მოცულობის ინვესტიციის განხორციელებას, თუმცა, როგორც წესი, ინვესტიციის აღიარების კრიტერიუმები გაწერილი არაა. ამას კი, შესაძლოა, ინვესტიციის მოცულობის დადასტურების დროში გახანგრძლივება და სასამართლო დავები მოჰყვეს.

ხარვეზები სახელმწიფო ქონების გადაცემაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ თბილისსა და დაბა გუდაურში, განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნა საცხოვრებელი და სასტუმრო კომპლექსების მშენებლობისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთებზე, ასევე, კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ასეთი შინაარსის აქტივების გადაცემა, თანაც პირდაპირი მიყიდვის ფორმით, მიზანშეწონილი არ არის.

„ქონების ადგილმდებარეობისა და დადგენილი ვალდებულებების შინაარსიდან გამომდინარე, პრივატიზების პროცესის განსაჯაროვება, საპრივატიზებო ობიექტთან დაკავშირებით, ფართო დაინტერესებას გამოიწვევდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია ქონების აუქციონის საფუძველზე რეალიზაცია, რაც უზრუნველყოფდა კონკურენტუნარიან გარემოს და შექმნიდა ქონების ეფექტიანად რეალიზაციის წინაპირობას“.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2017-2018 წლებში, ორი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც მიწის ნაკვეთების გადაცემა განხორციელდა შეფასებით ღირებულებაზე ნაკლებ ფასად. უფრო ზუსტად, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ორ შემთხვევაში, ინვესტორებს მიწის ნაკვეთები იმაზე იაფად გადასცა, ვიდრე მათი საბაზრო ღირებულება იყო.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ყოველივე ეს, ეწინააღმდეგება სახელმწიფო ქონების ეფექტიანად განკარგვის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებს.

გარდა ამისა, სახელმწიფო ქონების გადაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებში, მკაფიოდ განსაზღვრული არაა შესასრულებელი სამუშაოების ვადები, პირგასამტეხლო და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები. იმის გამო, რომ ხელშეკრულებებში მსგავსი ტიპის ჩანაწერები არ არსებობს, შეუძლებელია შესრულებული სამუშაოების კონტროლი.

„ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული თარიღი, პირველ შემთხვევაში, გადავადდა ექვსი თვით, მეორე შემთხვევაში – ექვსი წლით. გადავადების პერიოდებს შორის არსებული მნიშვნელოვანი გადახრა კი, შესაძლებელია განპირობებული იყოს ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, სააგენტოს მხრიდან რელევანტური ინფორმაციის ფლობის ნაკლოვანებებით. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ შეფასების საფუძველზე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი, განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა – მიწის ნორმატიული ფასის გამოყენების შემთხვევაში, 289 704 ლარით გაიზრდებოდა“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სამედიცინო ცენტრის შესაქმნელად, ორი დამოუკიდებელი სამართალწარმოების სახით, ინვესტორებისთვის გადაცემულია ორი სხვადასხვა მიწის ნაკვეთი, საიდანაც ერთ-ერთზე, ერთდროულად, ორი კომპანია გახდა უფლებამოსილი და ვალდებული, ეწარმოებინა სამედიცინო ცენტრის შექმნის სამუშაოები. მეორე ნაკვეთზე კი არანაირი საქმიანობა არ განხორციელებულა შესაბამისად, ვერ დასტურდება, რა მიზნით გადაეცა მიწის ეს ნაკვეთი ინვესტორს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებს მიაჩნიათ, რომ მიწის ეს ნაკვეთი ისევ სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დაბრუნდეს.

მაგალითად, ერთ-ერთ შემთხვევაში, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ინვესტორს საინვესტიციო ვალდებულება მნიშვნელოვნად გაუზარდა – 2 მილიონი ლარიდან, 20 მილიონ ლარამდე. თუმცა, ამის მიუხედევად, საბანკო გარანტიის ოდენობა არ შეუცვლია, რაც ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად ამცირებს დასაკისრებელი პირგასამტეხლოს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას.

„2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, დაუდასტურებელია ინვესტორის მიერ სასტუმროს, ღია აუზებისა და ნავმისადგომების მშენებლობისა და ექსპლოატაციის დაწყების ვალდებულებების შესრულება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შენობაზე არც სამშენებლო ნებართვის გაცემა დასტურდება და არც ექსპლუატაციაშია მიღებული, სასტუმრო, ფაქტობრივად, ფუნქციონირებს (?!). მეტიც, ინვესტორს სახელმწიფოსთვის არ დაუბრუნებია სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სესხის სახით გაცემული 2 000 000 ლარი და მისგან მისაღები საპროცენტო სარგებელი“.

„ტოტალ შარმში“ ნერვი დამიზიანეს!“ – რაში სდებს ბრალს კლინიკას და რას მოითხოვს დაზარალებული, გია გოშაძე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

საქართველოში ესთეტიკურ ცენტრებს სულ უფრო მეტი ადამიანი სტუმრობს. ადამიანები კოსმეტიკურ პროცედურებსა და მანიპულაციებს მიმართავენ არა მხოლოდ სილამაზის გამო, არამედ, ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემების დროსაც. „ვერსიის“ დღევანდელი რესპოდენტი, გიორგი გოშაძე ესთეტიკის ცენტრის – „ტოტალ შარმის“ ვიზიტორი, სწორედ ონკოლიგიური დიაგნოზის გამო შექმნილი ტრავმის გადასაფარად გახდა. „ტოტალ შარმი“ პლასტიკური, ესთეტიკური ქირურგიისა და დერმატო-კოსმეტოლოგიის საერთაშორისო კლინიკების ქსელია და ფილიალები აქვს თბილისში, ბათუმში, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, პრაღასა და ვალენსიაში.

60 წლის გიორგი გოშაძე „ვერსიასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ამ კლინიკას, სწორედ მისი ცნობადობისა და სანდოობის გამო მიმართა, თუმცა მოლოდინი, რბილად რომ ვთქვათ, არ გაუმართლდა. გოშაძე აცხადებს, რომ „ტოტალ შარმში“, ბოტოქსის გაკეთების დროს, სახის არეში, თვალთან ნერვი დაუზიანდა, რის გამოც დღეს, მასა და ესთეტიკის ცენტრს შორის სასამართლო დავა მიმდინარეობს. გოშაძე ითხოვს, რომ „ტოტალ შარმმა“ აუნაზღაუროს ყველა ხარჯი, რაც მისთვის სასურველ კლინიკაში სამკურნალოდ არის საჭირო. „ვერსიამ“ დეტალების გარკვევა გადაწყვიტა და გთავაზობთ ინტერვიუს გიორგი გოშაძისთან:

– წლებია, მაქვს ლიმფომა. კისრის არეში, ქიმიოთერაპიის გამო, ტრავმა განმივითარდა. დასხივების შედეგად მიღებული ტრავმის გადასაფარად, ბოტოქსის გაკეთება დავიწყე ანუ ეს პროცედურა ჩემი ახირება კი არ არის, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე გავიკეთე. ჩემი მეუღლე, 10 წელია, რაც „ტოტალ შარმში“ დადის, სხვადასხვა პროცედურებს იკეთებს. ერთხელ მეც გავყევი და გადავწყვიტე ე.წ. ფილერების ჩასმა, რამაც პრობლემა ბოლომდე არ მოაგვარა და ამიტომ ბოლო 5 წელია, რაც წელიწადში ორჯერ, შუბლის არეში ვიკეთებ ბოტოქსს. ერთხელაც რომ მივედი და ეს პროცედურა გავიკეთე, მეორე დილით გავიღვიძე და ერთი თვალი ვეღარ გავახილე, წარბი ჩამომივარდა. მსგავსი შემთხვევები, თურმე, ბოტოქსის გაკეთების დროს ხდება, ამიტომ მივედი ისევ „ტოტალ შარმში“, მითხრეს, ერთი კვირა დაველოდოთო, თუმცა ამ ხნის შემდეგ არაფერი გამოსწორდა. გამიკეთეს კიდევ რაღაც ინექცია დამატებით, დაველოდეთ კიდევ რამდენიმე კვირა, მაგრამ პრობლემა მაინც არ მოგვარდა.

– კლინიკაში რა გითხრეს, ამ დაზიანების მიზეზი რა არისო?

– მკითხეს, ბოტოქსის გაკეთების შემდეგ, ხომ არ დაგილევია, ან ხომ არ დაწექიო? – რაც სისულელეა იმიტომ, რომ წლებია, ამ პროცედურას ვიკეთებ და ყველა წესი ვიცი, რომელიც უნდა დავიცვა და ვიცავ კიდეც. მოკლედ, თავის მართლების რეჟიმში გადავიდნენ, მეც აღარაფერი ვუთხარი მაშინ და წავედი ყბა-სახის ქირურგთან, რომელმაც მითხრა, რომ ნერვი იყო დაზიანებული, ბოტოქსის გაწოვას 6-7 თვე სჭირდებოდა, რის შემდეგაც, წესით, მდგომარეობა უნდა გამოსწორებულიყო. ამის შემდეგ წავედი „ნიუ ჰოსპიტალში“, ნერვის მდგომარეობის გამოსაკვლევად, სადაც დაადგინეს, რომ ნერვი 60%-ით მქონდა დაზიანებული. დამინიშნეს მკურნალობა, ნევროლოგმა განმიმარტა, რომ ნერვი ბოლომდე არ აღდგებოდა, თუმცა მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელი იყო. დავლიე წამლები, ჩავიტარე ფიზიოთერაპია...

– ამ პერიოდში, „ტოტალ შარმიდან“ არ დაგკავშირებიან, ან რაიმე ტიპის დახმარება არ შემოუთავაზებიათ?

– ამ პერიოდში, „ტოტალ შარმიდან“ ერთხელაც არ მომიკითხეს, ადამიანურად დაერეკათ და მოვეკითხე, როგორ ვიყავი! ამიტომ, ძალიან გავნაწყენდი და სასამართლოს მივმართე. კლინიკაში კი, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი შეცდომა ეღიარებინათ, აქეთ თავს იმართლებდნენ – ალბათ, დალია და წესები დაარღვიაო. მითხრეს, დამატებით პროცედურებს ჩაგიტარებთო, მაგრამ ყბა-სახის ქირურგმა გამაფრთხილა, რაც უფრო მეტ პროცედურას ჩაიტარებ, მდგომარეობა უფრო გაგირთულდებაო. მოკლედ, მივხვდი, რომ შედეგი მათი მკურნალობიდან არ დადგებოდა.

ზოგადად, ჩემი დიაგნოზიდან გამომდინარე, 2007 წლიდან, ვენის პრივატკლინიკაში, წელიწადში ორჯერ, ჯანმრთელობის კვლევას ვიტარებ და მაშინ, როცა ვენაში მომიწია წასვლა, ჩემს ექიმს მოვუყევი ამ პრობლემის შესახებ, რომელმაც მიპასუხა, რომ ნერვის აღდგენა ადგილობრივად არ მოხდებოდა და მთელი შუბლის არე უნდა აწეულიყო პლასტიკური ჩარევით, რითაც დავკარგავდი ჩემს ამჟამინდელ სახეს, თან ვატყობდი, რომ მკურნალობის შედეგად მდგომარეობა მცირედ, მაგრამ პირვანდელთან შედარებით, გამოსწორდა.

ამ დაზიანებიდან წელიწადი იყო გასული და ალბათ, „ტოტალ შარმში“ იფიქრეს, გაიწოვებოდა ბოტოქსი და გამოსწორდებოდა მდგომარეობა. მითხრეს, კიდევ ჩაიტარე ლაბორატორიული კვლევა, რომელსაც ჩვენი წარმომადგენელი დაესწრებაო. დავთანხმდი, მივედით „ნიუ ჰოსპიტალში“, კვლევას დაესწრო „ტოტალ შარმის“ ნერვოპათოლოგიც და მისი თანდასწრებით ჩამიტარდა გამოკვლევა. დადგინდა, რომ ნერვი 33%-ით დაზიანებული დარჩა ანუ ბოტოქსი ბოლომდე გაწოვილი იყო და ეს დაზიანების საბოლოო მდგომარეობა გახლდათ.

– და რას ითხოვთ სასამართლოსგან?

– „ტოტალ შარმთან“ მე კომუნიკაცია გავწყვიტე და მას ჩემი ადვოკატები ეკონტაქტებიან. სასამართლოში ჩემი ადვოკატები ითხოვენ, რომ „ტოტალ შარმმა“ ჩემი მკურნალობა აანაზღაუროს. ავსტრიაში, იმ კლინიკაში, სადაც გამოკვლევებს ვიტარებ, კალკულაცია რომ გავაკეთებინე, ეს პლასტიკური ოპერაცია 70 000 ევრო ჯდება. იმის გარდა, რომ ძვირადღირებული ოპერაციაა, გადასაწყვეტადაც რთულია, რადგან ამ ჩარევის შემდეგ, სახე შემეცვლება. ყველაზე ცუდი ისაა, რომ „ტოტალ შარმის“ წარმომადგენლებს ვერანაირი სინანული ვერ შევატყვე, სასამართლო კი დიდი ხანია, იწელება, როგორც ხდება ხოლმე, ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი ამბავი საჯაროდ გამეხმაურებინა.

მას შემდეგ, რაც „ტოტალ შარმში“ ეს ნერვი დამიზიანდა, კვლევებსა და ექსპერტიზულ გამოკვლევებში ძალიან დიდი თანხა დამეხარჯა... ყველაფერ ამას რომ თავი დავანებოთ, ვფიქრობ ხოლმე, ხომ შეიძლებოდა, ჩემს ადგილას, ახალგაზრდა გოგონა ყოფილიყო? მას რომ დაზიანებოდა ნერვი, რა უნდა ექნა? რადგან 60 წლის მამაკაცი ვარ, ამიტომ არ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე?!

გავარკვიე, როცა ბოტოქსი კეთდება, ექიმმა ერთსა და იმავე ადგილას არ უნდა გააკეთოს ეს ინექცია. გამოდის, ექიმის უყურადღებობისა და უვიცობის გამო დამიზიანდა ნერვი. არადა, ამ ექიმთან ინექციას წლების განმავლობაში ვიკეთებდი და უნდა სცოდნოდა, რომ ერთსა და იმავე ადგილას არ გაეკეთებინა.

– ექიმმა, რომელმაც ეს პროცედურა ჩაგიტარათ, რა განმარტება მოგცათ?

– საერთოდ არ დამირეკა და არც კი მომიკითხა. ადვოკატებთან ურთიერთობაშიც, სულ თავის მართლების რეჟიმში არიან. რომ მოსულიყვნენ და პატიება ეთხოვათ, გავუგებდი, მაგრამ ძალიან გულსატკენია, როცა ასე უყურადღებოდ და უპასუხისმგებლოდ გექცევიან!

„ტოტალ შარმში“ რომ ამბობენ, ყოველი პროცედურის შემდეგ ვაფრთხილებდით, რომ წესები უნდა დაეცვაო, ჩემმა ადვოკატმა მოსთხოვა მათ შესაბამისი დოკუმენტაცია და რომ მოიტანეს, არც ერთ დოკუმენტზე ჩემი ხელმოწერა არაა. მხოლოდ ერთზე აღმოჩნდა ხელმოწერა და ისიც ჩემი არაა. ამიტომ გრაფიკული ექსპერტიზა დავნიშნეთ – ვიმეორებ, მე ამ დოკუმენტზე ხელი არ მომიწერია.

* * *

საქმის დეტალების გასარკვევად, „ვერსია“ გიორგი გოშაძის ადვოკატს, ზურაბ თოდუას ესაუბრა, რომელმაც განაცხადა, რომ ეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში, დაახლოებით, ერთი წელია, განიხილება:

– ჯერ კიდევ მოსამზადებელ ეტაპზე ვართ, არსებით განხილვაზე არ გადავსულვართ. დაყენებულია შუამდგომლობა გრაფიკული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ამოსაღები გვაქვს სანოტარო აქტებზე გიორგი გოშაძის მიერ შესრულებული ხელმოწერის დედნები, რათა დავნიშნოთ შესაბამისი ექსპერტიზა. გვაქვს უტყუარი რწმენა, რომ დოკუმენტი, რომელსაც ემყარება მოპასუხე მხარე და ამბობს, რომ გააფრთხილეს შესაბამისი წესების შესახებ, რაც უნდა შეესრულებინა მას, როგორც პაციენტს, არის გაყალბებული, მასზე გიორგი გოშაძის ხელმოწერა არაა და ფაქტობრივად, გაყალბებული დოკუმენტით უნდათ თავის გამართლება.

– ბატონო ზურაბ, რა მტკიცებულებები გაქვთ დაცვის მხარეს, გიორგი გოშაძის სიმართლის დასასაბუთებლად?

– ჩატარებულია დამოუკიდებელი საექსპერტო კვლევა, სადაც აღნიშნულია, რომ დაზიანებები აშკარად გამოკვეთილია სახეზე, რაც, დიდი ალბათობით, შესაძლებელია, გამოწვეული იყოს ინექციის შედეგად და გამოწვეული ჰქონდეს კონკრეტული ნერვის დაზიანება. ეს ექსპერტიზა ჩატარდა დამოუკიდებელ საექსპერტო ცენტრში „ვექტორი“, რომელსაც კვალიფიციური სპეციალისტები აწერენ ხელს.

– რას ითხოვთ სასამართლოში „ტოტალ შარმისგან“ და გთვაზობთ თუ არა კლინიკა მოლაპარაკებას?

– გიორგი გოშაძე არ ენდობა ამ კლინიკას და არ თანხმდება შეთავაზებას, რომ თავად ჩაუტარონ შესაბამისი მკურნალობა. მას სურს, რომ ეს მკურნალობა ჩაუტარდეს ევროპის ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში, სადაც უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ ეს დაზიანება გამოსწორდება.

– მოპასუხე მხარე ამაზე უარს აცხადებს?

– დიახ, უარს აცხადებს და, სავარაუდოდ, კვლავ აპირებს შეთავაზების გაკეთებას, რომ თავად უმკურნალონ, რასაც გოშაძე კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მათ დაზიანეს ადამიანი და ხელმეორედ რომ საექსპერიმენტოდ წარუდგინოს საკუთარი თავი, ამის უფლებას არ მისცემს. მოითხოვს იმ თანხის ანაზღაურებას, რაც მისთვის სასურველ კლინიკაში არის საჭირო.

P.S. „ვერსია“ დაუკავშირდა და შეხვდა „ტოტალ შარმის“ დამფუძნებელსა და ადვოკატებს და გააცნო დაზარალებულის ბრალდებები. მათ საჯაროდ პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავეს და განაცხადეს, რომ სასამართლო პროცესზე, ყველა ბრალდებას სათანადო პასუხს გასცემენ.

სამართალი

№44 1 დეკემბერი 2021 წ

ბათო ჯაფარიძე

რა სტატუსით ნახულობს ლიზა იასკო მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილს

მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი არა მარტო ქართული, არამედ, უცხოური მედიის ყურადღების ცენტრშია. განსაკუთრებული პატიმრის სტატუსი საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მოქმედმა პრეზიდენტმაც კი მიანიჭა, როცა თქვა, მიშას განსაკუთრებით უნდა მოეპყრანო. ამასვე ითხოვენ დასავლელი პარტნიორებიც, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის აზრი ორადაა გაყოფილი – მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წევრებსა და მხარდამჭერებს მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი განსაკუთრებულ მოპყრობას იმსახურებს, დანარჩენებს კი ეს აღიზიანებთ. და მაინც, ვინ არიან განსაკუთრებული პატიმრები და იყო თუ არა განსაკუთრებული მოპყრობა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, რომელიმე პატიმრის მიმართ? გაგიკვირდებათ და, იყო. შევეცდებით აგიხსნათ, ვის და რატომ ეპყრობოდა პატივით წინა ხელისუფლების დროს ციხის ის რეჟიმი, რომელიც საქართველოს ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი გახლდათ.

რატომ არის ექსპრეზიდენტი პრივილეგირებული ტუსაღი და იყვნენ თუ არა „ნაცების“ დროს პრივილეგირებული პატიმრები

გლდანის ციხის დირექტორი, ალექსანდრე მუხაძე დღემდე იძებნება. მის სახელთანაა დაკავშირებული არა მარტო პატიმრების წამება, არამედ, რამდენიმე გახმაურებული გარდაცვალებაც. მუხაძე პირადად ესწრებოდა პატიმრების წამებას, პირადად ხელმძღვანელობდა კარანტინის დაშლას და სწორედ მისი მითითების შემდეგ ხდებოდა ადამიანებზე შურისძიება ანუ მუხაძეს ჰქონდა დავალება, სწორედ მან იცოდა, ვისთვის ბევრი უნდა მოერტყათ, ვისთვის – ცოტა და ვის საერთოდ არ უნდა შეხებოდნენ. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ გლდანის ციხეში, მუხაძის დირექტორობის დროს, მისი ალალი ძმაც იჯდა. ჰო, მისი ძმა, რომელიც იმავე მუხაძის მითითებით დააკავეს და მისივე თხოვნით, სასამართლომ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მუხაძის ძმასთან ერთად დააკავეს და იგივე სასჯელი მისცეს კიდევ ერთი ცნობილი პიროვნების ძმას. ეს პიროვნება ახლა ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში ახლადარჩეული მერია და „ოცნების“ გუნდის წევრად ითვლება, თუმცა მაშინ ნაციონალებს უჭერდა მხარს. ორივე დაკავებული ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი იყო და იმის გამო, რომ ოჯახებმა ვვერაფერი მოუხერხეს, მიიღეს გადაწყვეტილება, დაეკავებინათ და „ლომკა“ და წამალი ერთნაირად, სწორედ გლდანის ციხეში გადაეგდოთ. რა თქმა უნდა, მათთვის ხელი არავის დაუდია და ნებისმიერ დროს, ყოველგვარი გაფორმებისა და ჩხრეკის გარეშე, მათთან შესვლა ოჯახის წევრებს შეეძლოთ და შედიოდნენ კიდეც. მათთვის გარედან მოჰქონდათ საკვები (რაც გლდანის ციხეში ოფიციალურად აკრძალულია) და ყველა დღესასწაულზე განსაკუთრებული სუფრა იშლებოდა.

ხელს არ აკარებდნენ იმ ბიზნესმენებს, რომლებიც დაკავების შემდეგ, მზად იყვნენ საპროცესო გარიგებისთვის. ისინი უზარმაზარ თანხას იხდიდნენ, როგორც ბიუჯეტის სასარგებლოდ, ასევე კონკრეტული ჩინოვნიკების ანგარიშებზე და ამიტომ, მათთვის ცემა-ტყეპა უცხო ხილი იყო. ასეთი პატიმრებისთვის გლდანის ციხის ხელმძღვანელობას E კორპუსი ჰქონდა შერჩეული, კორპუსი, რომელიც ადმინისტრაციის წინ მდებარეობდა და ამრიგად, ორივე მხარე მშვიდად იყო. იმ ბიზნესმენებისგან სარგებელს რიგითი ოფიცრებიც ნახულობდნენ, „ჯიგრულად“ სთხოვდნენ, რომ რაღაცები სჭირდებოდათ და დაკავებულებიც „ჯიგრულად“ ეხმარებოდნენ. მაგალითად, ერთი ტონა ხორბალი, ან სიმინდი, ან ცოლის დაბადების დღისთვის რომელიმე რესტორანში სუფრის გაწყობა. ჰო, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და სამაგიეროდ, ბიზნესმენებმაც იცოდნენ, რომ წიხლებით არავინ შედგებოდა.

გლდანის ციხის ხელმძღვანელობა ერიდებოდა ისეთი პატიმრების ცემას, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დაკავებულნი და რომლებთანაც უცხო ქვეყნის ელჩები, ან უცხო ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დადიოდნენ.

აი, ადგილობრივ არასამთავრობოებსა და სახალხო დამცველის აპარატის წევრებს საერთოდ არ ითვალისწინებდნენ. იყო არაერთი შემთხვევა, როცა სახალხო დამცველის წარმომადგენელმა პატიმრების ყოფა გააპროტესტა და მასაც გვარიანად წაუთაქეს. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როცა სახალხო დამცველი გიორგი ტულუში გახდა. ომბუდსმენად მისი დანიშვნის შემდეგ, მისი წარმომადგენლები, უბრალოდ, გლდანის ციხის ოფიცრების ხელქვეითები გახდნენ და საკმარისი იყო, რომელიმე მათგანისთვის წერილი გადაგეცა, რომელიც წესით, მას ომბუდსმენისთვის უნდა მიეტანა, მუხაძის კაბინეტში მიჰქონდა და შემდეგ ამ წერილის ავტორებს საკუთარი ნაწერის შეჭმა უწევდათ. ის, რაც არცთუ დიდი ხნის წინ ვნახეთ, როგორ აჭმევს მუხაძე ერთ-ერთ პატიმარს მის მიერვე დაწერილ ჩვენებას, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავი იყო და პატიმრებს მათ მიერ დაწერილ ჩვენებებს, რომელიც მუხაძეს არ მოსწონდა, ან არ აწყობდა, ძალით აჭმევდნენ.

ცემა-ტყეპასა და კარანტინის ჯოჯოხეთს არ გადიოდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და ეს განსაკუთრებულად ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს ეხებოდათ. იყო შემთხვევა, როცა ცოლის მკვლელობის ბრალდებით, საქართველოში შვეიცარიის მოქალაქე დააკავეს და რადგან დანაშაული შვეიცარიაში ჰქონდა ჩადენილი, მისი ექსტრადიციაც მოხდა. ჰოდა, შვეიცარიაში ჩასულმა წერილი გაავრცელა, სადაც წერდა, ქართული ციხე შვეიცარიისას ბევრად სჯობსო და იქ მოპყრობაც უკეთესი გახლავთო. ხომ ხვდებით, რა სცენარი დაუდგეს და რა ანახეს იმ კაცს, რომ ქართული ჯოჯოხეთიდან შვეიცარიის ციხეში წასულს, აქაურობა მოენატრა.

რაც შეეხება მნახველებს, როგორც გლდანის ციხეში, ისე ზოგადად, სასჯელაღსრულების ნებისმიერ დაწესებულებაში, პატიმრის ნახვისა და საუბრის უფლება (დაჯავშნული ფანჯრიდან, ტელეფონის მეშვეობით) მხოლოდ ოჯახის წევრებს ჰქონდათ და ეს მკაცრად იყო გაწერილი. ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ მშობლები, დედ-მამიშვილები, შვილები, მეუღლე და... მეტი არავინ. არც ბებია და ბაბუა, არც – ბიძა და მამიდა, ბიძაშვილ-მამიდაშვილებზე ხომ ზედმეტია საუბარი. პატიმრებთან შესვლა ნებისმიერ დროს შეეძლოთ უცხო ქვეყნების ელჩებს, დეპუტატებს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს, ადვოკატს, გამომძიებელსა და პროკურორს, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ადვოკატებს უბრალოდ, არ უშვებდნენ. ასევე, არცთუ იშვიათად იყო, როცა არ უშვებდნენ უცხო ქვეყნის ელჩებს, რომლებსაც ეუბნებოდნენ, რომ პატიმარი შიმშილობს და იზოლაციაშია. ამ დროს კი პატიმარი კი არ შიმშილობდა, უბრალოდ, ნაცემი იყო და ყველაფერი სახეზე ეტყობოდა.

მას შემდეგ, რაც გრძელვადიანი პაემნები შემოიღეს, პატიმრების დიდი ნაწილი ცდილობდა მეგობარი გოგონას შეყვანას, მაგრამ ადმინისტრაციის პასუხი უკმაცრესი იყო – ან ქორწინების მოწმობა, ან არანაირი გოგონა. ამიტომ, მაშინ არაერთმა პატიმარმა სასწრაფო წესით იქორწინა და ექვს თვეში ერთხელ (გრძელვადიანი პაემანი სწორედ ამ პერიოდში იყო შესაძლებელი), მცირე ნირვანას იწყობდა. ეს მხოლოდ „ზონაზე“, ციხეში ესეც გამორიცხული იყო. შესაბამისად, გაუგებარია, რა სტატუსით შედის მიხეილ სააკაშვილის სანახავად ლიზა იასკო. შესაძლოა, ვინმე შეგვედაოს, უკრაინის დუმის დეპუტატიაო, მაგრამ ქართულ კანონმდებლობაში არ წერია, რომ უცხო ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წევრს უფლება აქვს, საქართველოში, პატიმრის სანახავად დაუბრკოლებლად შევიდეს. გამოდის, ამ მიმართულებით, პენიტენციალური სამსახური, უბრალოდ, თვალს ხუჭავს, მაგრამ ცუდია, როცა ეს ერთი პატიმრის გამო ხდება, რადგან ასეთი ქმედება სხვებს ძალიან აღიზიანებს.

ზოგადად, კონკრეტული პატიმრების პრივლეგია დანარჩენებს აღიზიანებს და ეს გაღიზიანება იმდენად დიდია, ხშირად, თავისუფლებაზე გრძელდება. ასე, მაგალითად, ზონის „მაყურებელი“, რომელიც იმავე ზონის დირექტორის ნათლული იყო და რეალურად, პატიმრის კი არა, ადმინისტრაციის ინტერესებს იცავდა, „სვაბოდაზე“ მისგან უსამართლოდ დაჩაგრულმა პატიმრებმა ნახეს და ყური მოაჭრეს. შურისძიება განხორციელდა სხვა პატიმრებზეც, რომლებმაც პრივილეგია სხვების დასაჩაგრად გამოიყენეს, ხოლო ისინი, რომლებიც უბრალოდ, პრივილეგირებულები იყვნენ და სხვებს არაფერს უშავებდნენ, თავისუფლებაზეც არავინ არაფერი მოიკითხეს. ეგ კი არა და, ანზორ ქოქოლაძემ („ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებელი), ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, რამდენიმე პატიმარი დაასაქმა და ორ მათგანს უნივერსიტეტში სწავლის საფასურიც გადაუხადა.

ასეა თუ ისე, სააკაშვილი რჩება ყველაზე პრივილეგირებულ პატიმრად, რადგან მას ექიმები თავისუფლებიდან ეხმარებიან (ესეც, პრაქტიკულად, უპრეცედენტოა), მასთან შედიან ადამიანები, რომლებსაც ამის უფლება არ აქვთ. წესითა და რიგით, პირველი სარეაბილიტაციო ეტაპის გასვლის შემდეგ, ის ციხის საავადმყოფოში უნდა დააბრუნონ, მაგრამ როგორც გვეუბნებიან, რამდენიმე თვე, სწორედ გორის ჰოსპიტალში იქნება, თუმცა ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოუწევს ციხეში დაბრუნება და იქიდან გამოსვლის მხოლოდ ორი გზა არსებობს – სასჯელის სრულად მოხდა ან პრეზიდენტის შეწყალება, თუმცა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, არა და არასდროსო.

როგორ დაგეგმა მოღალატე ცოლმა ქმრის მკვლელობა

საბედისწერო მასრა, რომლითაც გამოძიება დამნაშავეზე გავიდა

ბათო ჯაფარიძე

სუიციდი – შემთხვევა, რომელიც თანამედროვე სამყაროში ხშირად გვხვდება. თვითმკვლელობები ადრეც იყო, თუმცა არ შუქდებოდა და მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრე იგებდა, ამა თუ იმ პიროვნებამ თავი მოიკლაო. საბჭოთა კავშირის დროს, თვითმკვლელობებს ვინ გააშუქებდა? – საბჭოეთში ცხოვრება ხომ ბედნიერება იყო და ამ სტატისტიკას საგულდაგულოდ მალავდნენ. ამიტომაც, მაქსიმალურად კონტროლდებოდა სუიციდის შემთხვევები და ტელევიზიით არასდროს შუქდებოდა.

„1985 წლის ზაფხული იყო, როცა დარეკეს, ერთ-ერთი ბინიდან ორი გასროლის ხმა გავიგეთო. რა თქმა უნდა, შემთხვევის ადგილზე გავედით და ბინის კარი შევამტვრიეთ, რადგან შიგნიდან არავინ გააღო. მისაღებ ოთახში, სისხლის გუბეში 50 წლამდე მამაკაცი იწვა, გვერდით პისტოლეტი ეგდო, საფეთქელთან კი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა უჩანდა. ყველაფერი თვითმკვლელობაზე მიუთითებდა და იმის გათვალისწინებით, რომ კარიც ჩვენ შევამტვრიეთ, ეს ვერსია ეჭვს არ იწვევდა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა სახლი დაათვალიერეს, ექსპერტმა საკეტი შეამოწმა და დაადასტურა, რომ გასაღებით იყო გაღებული ანუ ვიღაცას რომ „ატმიჩკით“ გაეღო და შემდეგ დაეკეტა, გამორიცხული იყო. ცოლი ლამის ზედ დააკვდა ქმარს და საქმე დასახურად იყო განწირული, როგორც სუიციდი, მაგრამ გამომძიებლებს მოსვენებას სამი მეზობლის ჩვენება არ აძლევდა. ისინი, ვინც გასროლის ხმა გაიგეს, ამტკიცებდნენ, რომ გასროლა ორი იყო და მილიციის თანამშრომლებმა ვერც მეორე მასრა იპოვეს, ვერც – მეორე ნატყვიარი. ვერსია, რომ ტყვია, შესაძლოა, ფანჯარაში გავარდა, გამორიცხული გახლდათ – ფანჯრები დახურული იყო. ამასობაში, ექსპერტიზამ კიდევ ერთი დასკვნა დადო – გასროლა გარდაცვლილმა განახორციელა, სასხლეტზე მისი თითის ანაბეჭდია და ხელზეც დენთის კვალი აღენიშნებაო.

ძალოვნებს სხვა გზა, პრაქტიკულად, არ ჰქონდათ, საქმე უნდა დახურულიყო. მით უმეტეს, რომ სამსახურში გარდაცვლილს დადებითად ახასიათებდნენ.

„მსხვერპლი ექიმად მუშაობდა და უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა. ისიც მოვიკითხეთ, ხომ არ უმკურნალა ვინმეს ისეთს, რომელიც შემდეგ ან გარდაიცვალა, ან დაინვალიდდა... ასეთს ვერავის მივაგენით. კაცს დიდი ტრაგედია ჰქონდა გადატანილი. წლების წინ, სიმსივნით ცოლი გარდაეცვალა, შემდეგ ერთადერთი შვილი – ბიჭი გზაზე გადადიოდა და მოტოციკლეტი შეეჯახა. მამაკაცს სიცოცხლე აღარ უნდოდა, მაგრამ გაუძლო, შემდეგ კი მომავალი მეუღლე გაიცნი, რომელიც ორ ბიჭს მარტო ზრდიდა, ცოლად მოიყვანა და ბიჭებსაც შვილებივით ექცეოდა. უფრო მეტიც, ცოლი ახალი დაბრუნებული იყო ბულგარეთიდან, სადაც კაცმა დასასვენებლად გაუშვა, თავად კი პაციენტებს ვერ მოსწყდა ანუ ოჯახს საპრეტენზიო არაფერი ჰქონდა და იმის მიუხედავად, რომ უფროსი გერი ქურდობისთვის იყო ნასამართლევი, მასზე მეტი სამართალდარღვევა არ ირიცხებოდა. მამინაცვალმა იმდენი ქნა, ციხიდან გათავისუფლებული გერი სამუშაოდ მოაწყო და ცხოვრების გზაზე დააყენა.

„სწორედ მაშინ, როცა ვფიქრობდით, რა მიმართულებით წავსულიყავით, ჩემთან ერთი ახალგაზრდა ოპერი მოვიდა და აღელვებულმა მითხრა, იმ კაცს თავი არ მოუკლავსო. რა თქმა უნდა, ეჭვი ჩვენც გვქონდა, მაგრამ ასე დაბეჯითებით ვერ ვამბობდით. ამან კი, თევზაობა მიყვარს და იმ კაცის სახლში ჩხრეკა რომ ჩავატარეთ, ანკესის ჯოხებს კოჭა შებრუნებული ეყენა, ასე კოჭას მხოლოდ ცაციები აყენებენ, მერე სამსახურში მივედი იმ კაცთან და ყველამ დამიდასტურა, რომ მემარცხენე იყოო. ნასროლი კი მარჯვენა ხელით ჰქონდა, რაც ცაციას შემთხვევაში, გამორიცხული გახლდათ ანუ ისე გამოდიოდა, რომ მკვლელი ან კარგად არ იცნობდა მსხვერპლს, ან ვერ მოიფიქრა, რომ სამართალდამცავები ამას ყურადღებას მიაქცევდნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ყველაფერ ამას ისიც ემთხვეოდა, რომ მეზობლები, რომლებმაც სროლის ხმა გაიგონეს, ჯიუტად ამტკიცებდნენ, ორი გასროლა იყოო. შეუძლებელია, მიღებული ჭრილობის შემდეგ გარდაცვლის გაესროლა ანუ მეორე გასროლა მკვლელს რაღაცისთვის დასჭირდა, მაგრამ რისთვის და რაც მთავარია, სად იყო ტყვიის მასრა ან გულა, რომელსაც გამადიდებელი შუშით ძებნის მიუხედავად, სამართალდამცავებმა, უბრალოდ, ვერ მიაგნეს? ის, რომ მოკლულს ცოლსა და გერებზე მზე და მთვარე ამოსდიოდა, ყველა ამტკიცებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ მარჩენალისა და ოჯახის მოსიყვარულე უფროსის გარდაცვალება ხელს არ აძლევდათ. სახლიდან არაფერი არ იყო წაღებული და ეს მაშინ, როცა ორი ათასი მანეთი იქვე იდო, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხად ითვლებოდა. ყველაფერი შურისძიებაზე მიუთითებდა, მაგრამ შურისმაძიებელიც რომ არ ჩანდა?

„როცა საქმე ადგილიდან არ იძვრის და არც ეჭვმიტანილი გყავს, ქალი უნდა ეძებო. ჰო, ის საბედისწერო ქალი, რომელიც ყველა მამაკაცის ცხოვრებაშია და ჩვენც ქალის ძებნა დავიწყეთ, რაც იოლი ნამდვილად არ იყო. ვერცერთი მეგობარი და თანამშრომელი ვერ იხსენებდა, რომ გარდაცვლილს ვინმესთვის ორაზროვანი კომპლიმენტი ეთქვა ან რაიმე სასიყვარულო ისტორიაში ყოფილიყო გახვეული. ის იყო ოჯახის ერთგული, მოსიყვარულე მეუღლე და რადგანაც მის ირგვლივ ცოლის გარდა სხვა ქალი, უბრალოდ, არ არსებობდა, ცოლის გარემოცვის შესწავლა დავიწყეთ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გამოძიებისთვის ცნობილი იყო, რომ ქმრის სიკვდილამდე არცთუ დიდი ხნით ადრე, ქალი სამოგზაუროდ იყო იმ საგზურით, რომელიც ქმარმა სპეციალურად მისთვის შეიძინა. დაკითხეს ყველა, ვინც იმ მოგზაურობაში იყო, ხომ არ შეუმჩნევიათ ქალისთვის რაიმე საეჭვო, თუმცა ვერავინ ვერაფერი გაიხსენა, მაგრამ... როგორც წესი, საბჭოთა კავშირიდან წასულ ექსკურსიებს მუდმივად ახლდა უშიშროების თანამშრომელი, რომელიც ვალდებული იყო, ყველაფერი სცოდნოდა. სწორედ მან უთხრა სამართალდამცავებს, ქალი სასტუმროს საღამო ხანს ტოვებდა და ვიღაც ფერადკანიანთან ერთად, მთელი ღამე პლაჟზე იმყოფებოდა. ის ფერადკანიანი რიგითი დამსვენებელი იყო და ამიტომ, უშიშროების თანაამშრომელი არ ღელავდა. მით უმეტეს, სიბნელეში, რამდენჯერმე მათ საუბარს მოუსმინა და საეჭვო არაფერი იყო – მათ რიგითი საკურორტო რომანი ჰქონდათ. გამომძიებლებმა ამჯერად არა მხოლოდ გარდაცვლილის ბინის, არამედ, მისი გერის სახლის გაჩხრეკვაც გადაწყვიტეს. გერი, რომელიც ნასამართლევი იყო, ცალკე ცხოვრობდა და სწორედ მისი ბინის ჩხრეკისას იპოვეს ტყვიის ცარიელი მასრა, რომელიც მას სპორტულის ჯიბეში ჰქონდა, ჯიბე გახეული იყო და მასრა სარჩულს ეჭირა. რაღა თქმა უნდა, გერი დააკავეს და იმის მიუხედავად, რომ პირველ დღეს ის მყარად იყო და ჩვენებას არ იძლეოდა, მას შემდეგ დაიწყო საუბარი, რაც უთხრეს, დედაშენი ალაპარაკდა და ხელს სწორედ შენ გადებსო.

„როცა დედა ბულგარეთიდან დაბრუნდა, შემთხვევით, მამინაცვალმა მის ნივთებში ვიღაც შავკანიანთან გადაღებული ფოტო იპოვა. ის ფოტო მეც ვნახე, დედა და ის კაცი, ლამის შიშვლები, ერთმანეთზე იწვნენ და კოცნიდნენ. მამამ განქორწინება გადაწყვიტა, დედას კი არ უნდოდა დაეკარგა, როგორც სამოთახიანი ბინა, ისე მარჩენალი და რაც მთავარია, მამინაცვლის ანგარიშზე არსებული 25 ათასი მანეთი. ამიტომ, მე მითხრა, თუ მოკლავ, 5 ათას მანეთს მოგცემ და უკეთეს ბინაში იცხოვრებო. თავიდან უარი ვუთხარი, მაგრამ ცოლი მეორე ბავშვზეა ორსულად, მე კი ერთოთახიანში ვარ და გაფართოების შანსი, უახლოესი 10 წლის მანძილზე, არ მაქვს, ამიტომაც დავთანხმდი. გეგმა დედამ მოიფიქრა და სახლის გასაღებიც მან მომცა. როცა დავაკაკუნე, მამინაცვალმა კარი გააღო. რა თქმა უნდა, არ ელოდა თავდასხმას, ოთახში რომ შევიდა, უპრობლემოდ მივუახლოვდი და საფეთქელში მიბჯენით ვესროლე. მეორე გასროლა კი იმ ტყვიით განვახორციელე, რომელსაც გულა არ ჰქონდა, მხოლოდ დენთი. პისტოლეტი მამინაცვალს ხელში დავაჭერინე და გამოვკარი. ამით შეიქმნა ილუზია, თითქოს, თავი მოიკლა, რადგან ხელზე დენთის კვალი ჰქონდა, მასრა კი წამოვიღე. მეგონა, მასრა გზაში დავკარგე და თავიც დავიმშვიდე, რომ ვერ იპოვეთ. გამოსვლისას, კარი დედაჩემის მიერ მოცემული გასაღებით დავკეტე და შემდეგ დავუბრუნე“, – განაცხადა გერმა.

რა თქმა უნდა, სასწრაფო წესით დააკავეს გარდაცვლილის მეუღლეც. იმის მიუხედავად, რომ მან ყველაფერი უარყო, სასამართლომ ეს არ გაითვალისწინა და მას, როგორც შემკვეთს, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, გერს კი 15 წელი მისცეს. ციხე ორივემ ვადაზე ადრე დატოვა, რადგან მომხდარიდან 6-7 წელში, საქართველოში, ციხიდან გამოსვლა ძალიან მარტივი იყო.

მამის შურისძიება

ბათო ჯაფარიძე

ქალებზე მონადირე სამართალდამცავი მსხვერპლის მამამ დანით მოკლა

აფხაზეთის სანაპირო ზოლი დღეს დამსვენებლებისთვის უსაფრთხო არ არის. მას შემდეგ, რაც ეს მარგალიტი საქართველოს იურისდიქციიდან გავიდა, სიტუაციას კრიმინალები აკონტროლებენ, სეპარატისტული მთავრობა კი არ ცდილობს ვითარების გამოსწორებას, რადგან ქაოსი აწყობს. პირველ რიგში იმიტომ, რომ ასე უფრო მარტივია ადამიანების კონტროლი და შიშის ქვეშ ყოფნა. არადა, ადრე ზღვისპირა რეგიონები და, მათ შორის, აფხაზეთის ულამაზესი სანაპიროც განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ იყო, რათა საბჭოთა მოქალაქეებს შვებულება მშვიდად გაეტარებინათ და ამიტომ, ზაფხულობით, იქ უამრავ სამართალდამცავს ამატებდნენ. რა თქმა უნდა, ეს არ იყო იმის გარანტი, რომ დანაშაული არ მოხდებოდა, მაგრამ კრიმინალს მაქსიმალურად ამცირებდნენ.

„ის პერიოდია, როცა ხშირად ისმის ინფორმაცია აფხაზთა ჩაგვრის შესახებ, ვითომ მათ თანამდებობებზე არ ნიშნავენ და საპასუხისმგებლო პოსტებზე მხოლოდ ქართველები არიან. არადა, ყველაფერი პირიქით ხდება და შეუქცევადი პროცესი მიდის. მივდივართ იქითკენ, რომ მალე ყველა და ყველაფერი აფხაზებს ექნებათ, თუმცა ძველი თაობა, ასე თუ ისე, ინარჩუნებს ურთიერთობას, არ არის აგრესიული და წყალს მხოლოდ ათამდე ადამიანი ამღვრევს. ამიტომ, როცა ერთ დღეს, სოხუმში, აფხაზი სამართალდამცავი მოკლეს, ლამის ომი დაიწყო, ეს ქართველებმა შეგნებულად გააკეთეს, აფხაზებს გვანადგურებენო. ამიტომ, თბილისიდან დავალება მივიღე, რადაც უნდა დამჯდომოდა, მკვლელობა გამეხსნა და რაც შეიძლება, მოკლე დროში. მომცეს განსაკუთრებული უფლებები და სოხუმში გამიშვეს“, – გვიყვება ერთ-ერთ რეზონანსულ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მოკლული ადგილობრივი მილიციის ლეიტენანტი გახლდათ, რომელსაც დანით გაუსწორდნენ. ის გამვლელებმა იპოვეს და ექსპერტიზის დასკვნით, გულის არეში, ერთი ზუსტი დარტყმა ჰქონდა. ექიმებისვე თქმით, ასეთ დარტყმას მხოლოდ მამაკაცი თუ განახორციელებდა და რაც მთავარია, მკვლელმა კარგად იცოდა ანატომია, რადგან დარტყმა ქირურგიული სიზუსტით იყო შესრულებული. იმ პერიოდში, სოხუმში იმდენი დამსვენებელი იყო, მათში ექიმებისა და შესაბამისად, სავარაუდო მკვლელის ძებნა თივის ზვინში ნემსის ძებნას ჰგავდა. ამიტომ, თბილისიდან ჩასულმა გამომძიებლებმა, პირველ რიგში, მისი გარემოცვის შესწავლა დაიწყეს. მოკლული უცოლო გახლდათ და როგორც ამბობდნენ, უკონფლიქტო პიროვნება იყო. მის ერთადერთ სისუსტეს სუსტი სქესი წარმოადგენდა, შვებულებასაც მაშინ იღებდა, როცა საკურორტო სეზონი იწყებოდა და ბოლომდე ერთობოდა, თუმცა ამის ნიადაგზე, კონფლიქტი არასდროს, არავისთან მოსვლია. საკურორტო რომანები მაშინაც არ იყო იშვიათი, მაგრამ ამის გამო არავის კლავდნენ.

გამომძიებლებმა გაარკვიეს, რომ სამართალდამცავი შვებულებაში ორი დღის გასული იყო და იმ პერიოდში, კოლეგებს ნანახი არ ჰყავდათ. მისი მეზობლები კი ამტკიცებდნენ, თუ ვინმესთან რომანი ჰქონდა, შინ მოჰყავდა, რადგან მარტო ცხოვრობდა, ამ ორ დღეში კი არავინ მოუყვანიაო. ყველაზე ცუდი ის გახლდათ, რომ თბილისიდან ჩასულ სამართალდამცავებს აფხაზი კოლეგები ხელს არაფერში უწყობდნენ, თუმცა იქ მსახურობდნენ ქართველებიც და აქედან ჩასულებს სწორედ მათი იმედი ჰქონდათ. ერთ-ერთმა მათგანმა გამოძიებას უთხრა, გარდაცვლილი შარშან გაეხვა შარში, ეგებ, ეს ამბავი იმის გაგრძელება იყოსო.

„როგორც ქართველმა კოლეგამ გვითხრა, წინა ზაფხულს, მილიციის მოკლულ თანამშრომელს ერთმა ციმბირელმა გოგომ უჩივლა, გამაუპატიურაო. საქმე არც აღძრულა, რადგან ჩათვალეს, რომ გოგო აჭარბებდა, დაქალთან ერთად იყო ჩამოსული, დაქალი კი გაიძახოდა, გაუპატიურება არ ვიცი, ჩემი მეგობარი იმ კაცს შინ საკუთარი ნებით გაჰყვა და როცა ღამით, კაცთან საკუთარი ნებით მიდიხარ, ყველაფერი ნათელიაო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გამომძიებლებს წინა წელს დაზარალებული გოგონას ვინაობის გარკვევა არ გასჭირვებიათ და შესაბამისი მოთხოვნაც გაგზავნეს მის საცხოვრებელ ადგილზე. პასუხი მეორე დღეს მოვიდა – გოგო მშობლებთან ერთად, დასასვენებლად... სოხუმში წავიდა. გამოდიოდა, რომ იმ ქალაქში იყო, სადაც წინა წელს გააუპატიურეს. როგორც წესი, ასეთ ადგილებს დაზარალებულები ერიდებიან ხოლმე და მხოლოდ მაშინ ბრუნდებიან, როცა შურისძიება სურთ. ქართველმა სამართალდამცავებმა ივარგეს და მშობლებთან ერთად, გოგონას ერთ-ერთ სასტუმროში მიაგნეს. მილიციის გამოჩენამ ისინი გააოცა, როცა გოგომ გაიგო, რის გამოც ეძებდნენ, სიხარული არ დაუმალავს, იმ ცხოველს ასე ეკუთვნოდაო. მშობლებმა საერთოდ პირი დააღეს, ამის შესახებ არაფერი ვიცოდით, ჩვენ ექიმები ვართ, ჩვენს შვილს კი ზღვის ჰაერი ფილტვებისთვის სჭირდება, აქ დასასვენებლად კი არა, უფრო სამკურნალოდ ვუშვებთ, ერთ წელსაც არ ვტოვებთო. გადამოწმეს მათი ალიბიც და აღმოჩნდა, რომ სამივე მათგანი, მკვლელობის დროს, რესტორანში ვახშმობდა. ეს დაადასტურა იმ მიმტანმაც, რომელიც მათ მაგიდას ემსახურებოდა. ახალგაზრდა ბიჭი ამტკიცებდა, ოჯახი რესტორანში, დაახლოებით, სამი საათის განმავლობაში იმყოფებოდა, ბევრი არაფერი უჭამიათ, მუსიკას უსმენდნენ და „ჩაიც“ არ დამიტოვესო.

მომხდარიდან ოთხი დღე გავიდა და გამოძებამ წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწია. ამან აფხაზი სამართალდამცავები უფრო გააბრაზა, აქაოდა, შეგნებულად არ იძიებთ საქმესო.

„ზღვაზე საბანაოდ ღამე გამოვედი. დღისით რომ მებანავა და აფხაზ მილიციელებს დავენახე, იტყოდნენ, თბილისიდან გასართობად არიან ჩამოსულებიო. ორი საათი არ ამოვსულვარ ზღვიდან და როცა ამოვედი, იქვე ახლოს, წყვილი შვენიშნე. სილუეტები მეცნო, ახლოს ჩავუარე და ბიჭში ოფიციანტი ვიცანი, გოგო კი ის ციმბირელი გახლდათ, წინა წელს რომ გაუპატიურებაზე ჩიოდა. გამოდიოდა, რომ ისინი ერთმანეთს არა მარტო კარგად იცნობდნენ, არამედ, გადასარევი ურთიერთობა ჰქონდათ, რადგან ჩახუტებულები მიდიოდნენ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მეორე დღეს, რესტორნის სხვა თანამშრომლები დაკითხეს და მხოლოდ ერთმა აღნიშნა, იმ მაგიდას კონკრეტული ოფიციანტი იმიტომ ემსახურებოდა, რომ გოგო მისი საცოლეა, ყოველ წელს ჩამოდიან, ყოველთვის ამ სასტუმროში ჩერდებიან და მესამე წელია, ერთმანეთი უყვართ, წელს ქორწილსაც აპირებენო. მისივე თქმით, მაგიდასთან მხოლოდ ქალები ისხდნენ, ოჯახის უფროსი კი მოგვიანებით შეუერთდათ. რაღა თქმა უნდა, ოჯახიცა და ოფიციანტიც დაკითხვაზე კიდევ ერთხელ დაიბარეს. სანამ ოჯახის წევრებს ქართველები ჰკითხავდნენ, ოფიციანტი დასაკითხად აფხაზმა სამართალდამცავებმა გაიყვანეს და ისე დაამუშავეს, ერთ საათში, მაგიდაზე ჩვენება იდო.

„შარშან ჩემი საცოლე მილიციის თანამშრომელმა გააუპატიურა. დაბადების დღე მქონდა, მან კი გოგოს უთხრა, რომ მამაკაცის უცხოური სუნამო ჰქონდა და იაფად მისცემდა. ჩემი საცოლე შინ გაჰყვა და ძალადობის მსხვერპლიც იქ გახდა. მაშინ ვერაფერი გავაკეთეთ. წელს საცოლე ოჯახით ჩამოვიდა, ქორწილს ვაპირებდით და სასიმამროს ვუთხარი შარშანდელის შესახებ, თუმცა ისიც ავუხსენი, ამის გამო, უარის თქმას არ ვაპირებ, თქვენი შვილი სიგიჟემდე მიყვარს-მეთქი. მან მთხოვა, მილიციის თანამშრომელი დამანახე, მინდა სახეზე ვიცნობდეო. შემდეგ ყველაფერი მარტივად მოხდა, მაგიდა შეუკვეთეს რესტორანში, კაცმა დაადგიანა, ხოლო როდესაც შინ მიდიოდნენ, მითხრა, თუ ვინმე იკითხავს, უთხარი, რომ თავიდანვე აქ ვიყავიო. მაშინ ვერაფერს მივხვდი, მეორე დღეს კი მილიციის თანამშრომლის მკვლელობის ამბავი გავიგე“, – ასეთი იყო ჩვენების მოკლე შინაარსი.

ქართველმა სამართალდამცავებმა იმდენი მოახერხეს, რომ მკვლელობაში ბრალდებული თბილისში გადაიყვანეს და ოჯახის წაყვანასაც სპეციალური გაძლიერებული ძალები დასჭირდა. აფხაზეთიდან წავიდა ოფიციანტიც, რომელსაც შურისძიებით ემუქრებოდნენ. სასამართლომ დაკავებულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, ის მოსკოვმა გამოითხოვა და ქართულ მხარეს ექსტრადიციაზე უარი არ უთქვამს.

პოლიციამ თბილისში ინტერნეტით ნარკოტიკების გასაღების ფაქტი აღკვეთა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებული ა.ს., ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ჩართული იყო ინტერნეტით ნარკოტიკების რეალიზაციის სქემაში. სამართალდამცველებმა ა.ს. ნაძალადევის რაიონში იმ დროს დააკავეს, როდესაც ის, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მეტადონის შემცველი ნარკოტიკის სხვადასხვა ადგილზე განთავსებას აპირებდა.

პოლიციამ, ბრალდებულის პირადი, დროებითი საცხოვრებელი სახლისა და მისი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო 157 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ და ამავე ნარკოტიკული საშუალების შემცველი ფხვნილი.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი თურქეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ფატმა ჯერენ იაზგანთან, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ახლად მოვლენილ მრჩევლებთან – ნეჯმეთინ აქჩასა და ნეჯმი ინჯესთან შეხვედრა გამართა.

მინისტრმა მრჩევლებს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა. ვახტანგ გომელაურმა იმედი გამოთქვა, რომ მათი ჩართულობით, მხარეთა შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდება.

შეხვედრის მონაწილეებმა სამართალდაცვით სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები დასახეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, უკრაინის მოქალაქის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობით მიმდინარე სასამართლო პროცესის პარალელურად გამართული საპროტესტო აქცია, გასცდა მშვიდობიანი შეკრების კანონით დასაშვებ ნორმებს. აქციის იმ მონაწილეების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნებს და მათ ძალადობრივი მეთოდებით წინააღმდეგობა გაუწიეს, სამართალდამცველებმა, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პროპორციული ძალა და სპეციალური საშუალებები გამოიყენეს.

სასამართლოს შენობისა და ეზოს მიმდებარე ტერიტორიიდან, მოგვიანებით, შეკრებილებმა გადაინაცვლეს აღმაშენებლის ხეივანში და გზის სავალი ნაწილი უკანონოდ გადაკეტეს.

სამართალდამცველთა არაერთი მოწოდების მიუხედავად, გაეხსნათ გზის სავალი ნაწილი, აქციის მონაწილეები და ორგანიზატორები არ დაემორჩილნენ პოლიციის მითითებებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 15 პირი პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის სამართალდარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების შესაბამისად დააკავეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოსთან მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მობილიზებულნი რჩებიან და საზოგადოებრივ წესრიგს დაიცავენ. მართლწესრიგის დასაცავად, ადგილზე იმყოფება შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა შესაბამისი დანაყოფი, ასევე, ტერიტორიაზე რჩება შესაბამისი საპოლიციო ტექნიკაც.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყება, მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, პოლიტიკურ ლიდერებს, აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, დაიცვან მართლწესრიგი და დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს. აქციის მიმდინარეობისას, სამართალდარღვევის ნებისმიერი ფაქტი პოლიციის მიერ, კანონის ფარგლებში, დაუყოვნებლივ იქნება აღკვეთილი.

პოლიციამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული გ.ლ., განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 23 ნოემბერს, საღამოს საათებში, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი, 1988 წელს დაბადებული დ.მ. და ბრალდებული გ.ლ., მეგობრებთან ერთად, თბილისში, მათსავე საცხოვრებელი ბინის მიმდებარე ქუჩაზე იმყოფებოდნენ.

დ.მ-სა და გ.ლ.-ს კონფლიქტი მოუხდათ და ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, რა დროსაც გ.ლ.-მ მეგობარი – დ.მ. ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით გულმკერდის არეში დაჭრა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა, ხოლო გ.ლ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და სამძებრო მოქმედებების შედეგად, გ.ლ. საგარეჯოში დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს, სსკ-ის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

შინაგან საქმეთა მინისტრი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზებს ეწვია

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, მოადგილეებთან – იოსებ ჭელიძესა და გიორგი ბუთხუზთან ერთად, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველ სამმართველოს ეწვია. ვახტანგ გომელაური სამმართველოს ტერიტორიაზე მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში გამართულ საღღესასწაულო წირვას დაესწრო და თანამშრომლებს გიორგობა მიულოცა.

წირვის დასრულების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრმა, პირველი სამმართველოს ბაზაზე არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე საჭიროებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო. მან, მოადგილეებთან ერთად, ბაზის ტერიტორიაზე არსებული სრული ინფრასტრუქტურა დაათვალიერა, მათ შორის, სასადილოს სარემონტო სამუშაოებსაც გაეცნო.

ვახტანგ გომელაური განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მესამე სამმართველოსაც ესტუმრა, სადაც ბაზის ტერიტორიაზე, თანამშრომლების საცხოვრებელი, ახლად აშენებული ყაზარმა დაათვალიერა, რომლის სარემონტო სამუშაოებიც უკვე დასრულებულია. ახლო მომავალში, სამმართველოს თანამშრომლები თანამედროვე სტანდარტით აშენებულ, საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილ შენობაში იცხოვრებენ. ვახტანგ გომელაურმა მოინახულა ბაზაზე არსებული სპორტული დარბაზი, რომელიც ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს და აღჭურვილია უახლესი სპორტული ინვენტარით, სავარჯიშო ტრენაჟორებითა და საშხაპეებით.

შინაგან საქმეთა მინისტრი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების კვებითი უზრუნველყოფით დაინტერესდა, კვების რაციონს გაეცნო და ყაზარმის სასადილოში, თანამშრომლებთან ერთად ისადილა. ვახტანგ გომელაურმა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა, ხოლო ხელმძღვანელ პირებს სამუშაო პროცესთან დაკავშირებით, შესაბამისი დავალებები მისცა.

„ოქროს ბურთის“ მფლობელი ლიონელ მესი გახდა

გასულ წელს „ოქროს ბურთის“ გამარჯვებული კორონა-ვირუსის გამო არ გამოვლენილა და ერემონია არ ჩატარებულა. ახლა კი, მიმდინარე წლის საუკეთესო ფეხბურთელად ლიონელ მესი დასახელდა, მეორე ადგილი რობერტ ლევანდოვსკიმ დაიკავა, ხოლო მესამეზე „ჩელსის“ ნახევარმცველი ჟორჟინიო გავიდა. საინტერესოა, რომ საუკეთესო ხუთეულშიც ვერ მოხვდა კრიშტიანუ რონალდუ, რომელსაც მეექვსე ადგილი არგუნეს.

არგენტინელისთვის ეს რეკორდული, მეშვიდე „ოქროს ბურთია“, თუმცა პირველი შენთხვევაა, როცა საფეხბურთო სამყაროში ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა და ბევრს მიაჩნია, რომ საუკეთესოდ მეორე ადგილზე გასული ლევანდოვსკი უნდა დასახელებულიყო. პოლონელ გოლების მანქანას მართლაც კარგი სეზონი ჰქონდა, თუმცა...

ბათუმის „დინამო“ საქართველოს ჩემპიონია

არსებობის ისტორიაში პირველად, ბათუმის „დინამომ“ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი მოიგო. ეროვნული ლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, ბათუმელები თბილისის „დინამოს“ 5 ქულით უსწრებდნენ და ერთი მოგებაც საკმარისი იყო ჩემპიონობის გასანაღდებლად, თუმცა აჭარლების საქმე თბილისურმა კლუბმა გააკეთა – ბოლოსწინა ტურში, კახი ცხადაძის შეგირდებმა, უმაღლესი ლიგიდან უკვე გავარდნილ „სამტრედიას“ ვერ მოუგეს და ერთი ტურით ადრე, მეტოქესთან სხვაობა 4 ქულა გახდა, რაც ავტომატურად ნიშნავდა იმას, რომ ჩემპიონი ბათუმის „დინამო“ გახდა.

აჭარაში, ზეიმის ფონზე, პრესკონფერენცია გამართა თბილისური კლუბის თავკაცმა და ისე ჩანს, საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბში სერიოზული წმენდა დაიწყება.

„ბევრი ფეხბურთელი დატოვებს თბილისის „დინამოს“. ასე გაგრძელება შეუძლებელია! ბევრი მათგანი კომფორტულად გრძნობდა თავს. თამაშობდა გუნდი კარგად თუ არა, ჰქონდა გუნდს შედეგი თუ არა, ყველასთან სრულდებოდა კონტრაქტის პირობები. შეიძლება ტექნიკური წუნი გქონდეს, პასი არ გამოგივიდეს, მაგრამ მონდომება და თავდადება ყველა თამაშში მნიშვნელოვანია. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ზომები იქნება მკაცრი“, – განაცხადა ცხადაძემ.

რაც შეეხება ბათუმურ კლუბს, მომავალ წელს, ჩემპიონთა ლიგაზე საქართველოს ღირსებას, სწორედ გია გეგუჩაძის შეგირდები დაიცავენ. მოგეხსენებათ, გეგუჩაძე ერთადერთი მწვრთნელია, რომელმაც 2004 წელს, ევრთასების ჯგუფურ ეტაპზე მოახერხა ქართული კლუბის გაყვანა და ეს მაშინ ბადრი პატარკაციშვილის „დინამოსთან“ ერთად შეძლო. ღმერთმა ქნას, მას იგივე ბათუმშიც გამოუვიდეს.

ისტორიაში პირველად – საქართველო ევროპის ჩემპიონია

მას შემდეგ, რაც ძიუდოისტთა შორის გუნდური პირველობები შერეული სისტემით ტარდება, საქართველოს ნაკრებს მედლის მოპოვება უჭირდა. საქმე ის გახლავთ, რომ ქალთა ძიუდო ჩვენთან ნაკლებადაა განვითარებული და შერეულ გუნდურში კი, მინიმუმ, ორი გოგონა უნდა იყოს. ამიტომაც, მეტოქეები გვჩაგრავდნენ, მაგრამ...

ევროპის გუნდური ჩემპიონატი გასულ უქმეებზე რუსეთის ქალაქ უფაში გაიმართა. საქართველოს ნაკრებმა დამაჯერებლად იასპარეზა და რაც მთავარია, საკუთარი წვლილი შეიტანა ეთერ ლიპარტელიანმაც, რომელმაც ფინალამდე სავალ გზაზე, თავისი შეხვედრები მოიგო. ფინალში კი, სადაც ჩვენი მეტოქე ჰოლანდიის ნაკრები გახლდათ, მოვლენები დრამატულად განვითარდა. ექვსი წონის შემდეგ, ანგარიში 3:3 იყო და შემთხვევითობის პრონციპით, დამატებითი ბრძოლა გაიმაართა -90 კილოგრამში, სადაც საბა ინანეიშვილმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვა და მას შემდეგ, რაც გუნდური პირველობები შერეული სისტემით ტარდება, კონტინენტის უძლიერესი ნაკრების ტიტული პირველად მოვიგეთ. შედეგად, რუსეთში გამართული ევროპირველობა ქართული ჰიმნით დაიხურა, კვარცხლბეკზე კი შემდეგი ძიუდოისტები იდგნენ: ალეკო მამიაშვილი, ფრიდონ გიგანი (ორივე -73კგ), ბექა ღვინიაშვილი, ლუკა მაისურაძე (ორივე -90კგ) გელა ზაალიშვილი, საბა ინანეიშვილი (ორივე +90– კგ), ეთერ ლიპარტელიანი (-57კგ), მარიამ ჭანტურია, ნინო გულბანი (ორივე -70კგ) და სოფიო სომხიშვილი (+70კგ).

ილია კოკაიას გარდაცვალებას ფიფა გამოეხმაურა

გასულ კვირას, ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ მფლობელი, ილია კოკაია ტრაგიკულად დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, მწვერვალის დასალაშქრად, კოკაია მეგობართან ერთად იმყოფებოდა, სადაც ფეხი დაუცდა, თავი ქვას დაარტყა და სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმა მიიღო. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ილია კოკაიას სახელთანაა დაკავშირებული საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ დაარსება და მისი ყველა მიღწევა – საქართველოს ორგზის ჩემპიონობა, თასისა და სუპერთასის მოგება. სიმბოლურია, რომ სულ რამდენიმე დღის წინ, „ზესტაფონი“ საქართველოს ჩემპიონატის მესამე ლიგაში დაწინაურდა.

კოკაიას გარდაცვალებას ფიფას პრეზიდენტი, ჯანი ინფანტინო გამოეხმაურა. მან ოფიციალური წერილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ლევან კობიაშვილს მისწერა.

„ძვირფასო პრეზიდენტო!

მინდა, გამოვხატო ჩემი წრფელი და გულითადი სამძიმარი ილია კოკაიას ტრაგიკულ გარდაცვალებასთან დაკავშირებით. სიტყვები უძლურია გადმოსცეს ის სევდა, რომელსაც ჩვენ ამ დანაკლისის გამო განვიცდით.

ქართული ფეხბურთის დიდი მოღვაწე, წარმატებული ბიზნესმენი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების საქმეში... მისი მიღწევები და მემკვიდრეობა, განსაკუთრებით მისი ხასიათი, ლიდერობის უნარი და მისი ადამიანური თვისებები არასდროს იქნება დავიწყებული და ის ნამდვილად ყველას დაგვაკლდება.

ფიფა-სა და საერთაშორისო საფეხბურთო საზოგადოების სახელით, გვინდა მივუსამძიმროთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და განსაკუთრებით, ილიას ოჯახს, მეგობრებსა და ყველა მის საყვარელ ადამიანს. თანაგიგრძნობთ!

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანადგომის სიტყვები მცირედით მაინც დაგამშვიდებთ და განუგეშებთ ამ მძიმე დროს ...

პატივისცემით, ჯანი ინფანტინო. ფიფას პრეზიდენტი“.

ბრძოლა ბრძოლამდე – თოფურიას მეტოქე ცნობილია

UFC-ს ქართველი მებრძოლი, ილია თოფურია ოქტაგონს 22 იანვარს დაუბრუნდება, მისი და ინგუში მოვსარ ევლოევის შეხვედრა ოფიციალურად ჩაინიშნა, რასაც ქართველმა სოციალურ ქსელში განცხადება მოაყოლა და დაწერა, რომ მისი აზრით, ბრძოლა პირველივე რაუნდში ნოკაუტით და მისი გამარჯვებით დასრულდება. თოფურიას საბრძოლო სამყარო „ელ მატადორის“ სახელით იცნობს. ჰოდა...

„იოცნებე. „მატადორი“ კი არა, წითელი ტილო ხარ, რომლითაც ოქტაგონს გავწმენდ“, – ასეთი იყო ევლოევის პასუხი.

„ჩვენი ქვეყნების ურთიერთობიდან გამომდინარე, არ მსურდა ასე მომხდარიყო, მაგრამ შენ ყველა ზღვარი გადაკვეთე“, – დაწერა ილიამ პასუხად და როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს შეხვედრა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დაძაბული იქნება.

ყვითელაშვილმა გრან-პრი მოიგო

მოციგურავეთა შორის, მორიგი გრან-პრი რუსეთში გაიმართა და პირველობა მორის ყვითელაშვილმა მოიპოვა. ქართველმა მოციგურავემ მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამში, 266.33 ქულა დააგროვა, რაც საუკეთესო შედეგია არა მარტო აღნიშნულ ტურნირზე, არამედ, მის კარიერაშიც. ყვითელაშვილი პირველი ქართველი მოციგურავეა, რომელმაც გრან-პრის ეტაპი მოიგო. მეორე ადგილზე რუსეთის წარმომადგენელი მიხაილ კოლიადა გავიდა, მესამეზე კი იპონელი კაზუკი ტომონო.

მსოფლიოს ჩემპიონატი იტალიის ან პორტუგალიის გარეშე

მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის ევროპის ზონის პლეი-ოფების წილისყრა გაიმართა. ბედის უკულმართობით, მუნდიალზე მოხვედრას იტალია ან პორტუგალია ვერ შეძლებს, რადგან ისინი ერთმანეთს შეხვდებიან. საქმე ის გახლავთ, რომ 12 ნაკრები სამ ქვეჯგუფში დაწყვილდა, საიდანაც მსოფლიოზე გამარჯვებული გავა და იტალია და პორტუგალია ერთ ჯგუფში მოხვდნენ. არადა, ევროპის წინა ორი ჩემპიონატის გამარჯვებული ნაკრებები, მსოფლიოზე თამაშს აშკარად იმსახურებენ, თუმცა...

I ჯგუფი:
უელსი – ავსტრია;
შოტლანდია – უკრაინა.
II ჯგუფი:
რუსეთი-პოლონეთი;
შვედეთი-ჩეხეთი.
III ჯგუფი
პორტუგალია-თურქეთი;
იტალია-მაკედონია.

შეხვედრები ერთმატჩიანია და უდიდესი ალბათობით, მესამე ჯგუფის ნახევარფინალში, პორტუგალია თურქეთს დაჯაბნის, იტალია – მაკედონიას და შემდეგ უკვე ერთმანეთში გაითამაშებენ მუნდიალის საგზურს.

ყველაზე თბილი ქვეყანა

რუბენ ჰოვსეფიანი (1939-2016) – ცნობილი სომეხი მწერალი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, რედაქტორი, პუბლიცისტი, დრამატურგი, სცენარისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე.

დაძინებამდე, დედამ ღუმელი ქვანახშირით პირამდე გაავსო, ნაცარი განზრახ ჩატოვა, რომ ცეცხლს დილამდე გაეძლო. ვერ გაძლო. გრძელ, დამუხლულ კვამლსადენს შუაღამის ყინვა და ქარის ღმუილი სახლში შემოჰქონდა, ოთახს უფრო აციებდა, ვიდრე თავად სიცივე. აკანკალებული პაპაჩემი თავის პაპას, პაპის პაპასა და ყველაზე პირველ პაპას ლანძღავდა, ღუმელს უჩხიკინებდა, რომ ცეცხლი გაეჩაღებინა და აგური გაეთბო. მე კი – თავზე საბანგადაფარებული, ხარხარს ძლივს ვიკავებდი, რადგან იმაზე უფრო სიცილისმომგვრელი სანახაობა რა უნდა ყოფილიყო, ვიდრე თეთრ პერანგსა და ქვედა საცვალში გამოწყობილი მობუზღუნე, მცივანა მოხუცი, რომელიც თავის, დიდი ხნის გარდაცვლილ პაპებს ლანძღავდა.

ვირისთავებო, – ამბობდა ის, – თბილი, მდიდარი, საცხოვრებლად ხელსაყრელი ქვეყნები დატოვეთ და აქ გაჩნდით, შთამომავლობაც აქ შობეთ, ამ მკაცრზამთრიან მდელოზე. რატომ არ დაფიქრდით? რას ჰგავს თქვენი საქციელი? გემი აგეგოთ, მდინარეები, ზღვები გადაგელახათ და ახალი მიწები გეპოვნათ, ან ცხენით, სულაც, ფეხით წასულიყავით. სადაც დაიბადეთ, წიწილებიც იქ დაჩეკეთ. მაშ, ასეთ დიდ ერს, ერთი ჭკვიანი მოგზაური არ უნდა ჰყოლოდა?

– კოლუმბთან ერთად, პაპა, ერთი სომეხი ბერიც იყო, – ვუთხარი მე.

– ის საცოდავი, იმის მაგივრად, რომ კოლუმბს გაძღოლოდა, თვითონ გაჰყვა. არა რაა, შენ, რაც გინდა, თქვი, მე ჩვენ ერს გეოგრაფიის საგანში „ორიანს“ ვუწერ.

პაპამ ღუმლიდან სავსე ტაშტი ნაცარი გამოიღო, ახალი ქვანახშირი შეუკეთა და აგურზე ხელდადებული ელოდებოდა, როდის აკრეფდა სითბოს გამომწვარი თიხა.

– პაპა, – ვუთხარი მე, – ნაზანი წაიყვანე. მართალია, ისე ვერ გაგათბობს, როგორც აგური, მაგრამ აგურივით მაინც არ იყინება.

საბანი გადავწიე და ჩემ ფეხებთან მოკალათებული მთვლემარე კატა დავანახე.

– მის კრუტუნში დაძინება შეიძლება, რო?

– ძალიანაც კარგად მძინავს.

– ვნახოთ, – პაპა დამთანხმდა და ნაზანი უბეში ჩაიხუტა, – ვცადოთ. ძილში ხომ არ დამჩხაპნის?

– რატომ უნდა დაგჩხაპნოს?

– ვინ იცის, – პაპა მთვლემარე კატასთან ერთად საბნის ქვეშ შეწვა, – ერთიც ვნახოთ და, ნაზანმა ძილში სხვა კატებთან ჩხუბი ატეხა.

– მოეფერე, – ვურჩიე მე, – არ შეგეშინდეს, ნაპერწკლებს თუ შენიშნავ. და შენ რატომ არ ააგე გემი, მდინარეები, ზღვები რატომ არ გადალახე, ახალი მიწები რატომ არ იპოვნე? ან ცხენით, ფეხით რატომ არ წახვედი? ერთი ციცქნა კუნძული მაინც რომ ყოფილიყო შენ სახელზე.

– მე ვიბრძოდი, – თქვა პაპამ, – მოგზაურობის დრო არ მქონდა.

– ბრძოლით გემოგზაურა.

– ბრძოლით არ მოგზაურობენ, ვირისთავო. ბრძოლით კვდებიან, ან ცოცხლობენ, – მითხრა პაპამ და მომაშტერდა...

– დაელაპარაკე, პაპა, თავზე ხელი გადაუსვი. მაშ, ესპანელები, თურქები, ბრძოლით როგორ მოგზაურობდნენ?

– შენ მასწავლებელს ჰკითხე... კატას თმა ყალყზე დაუდგა.

– ყურის ქვეშ მოფხანე.

– ვეფხვივით მიღრენს.

– ნაზან, – შევეხმიანე მე, – ჭკვიანად იყავი, ნაზან.

– ვაი... მე შენი პაპის პაპა! – წამოიყვირა პაპამ და საწოლზე წამოჯდა. სიბნელეში, ჰაერში, ნაზანის წყვილმა თვალმა გაიელვა, ცოტა ხანში ეს თვალები უკვე ჩემი საბნის ქვეშ ბრწყინავდნენ. ნაზანი მთელი ტანით კანკალებდა და მოუსვენარი კუდით ფეხებზე მიღიტინებდა.

– ხომ არ დაგჩხაპნა, პაპა?

– სისხლი გამომწოვა, სისხლი... გეგონება, ბევრი სისხლი მქონდეს. სად გაიქცა? შენთან ხომ არ მოვიდა?

– არა, – მოვატყუე. თან გამხეცებულ კატას ფერებით ვამშვიდებდი.

პაპამ ნათურა აანთო, ცოცხს ხელი მოავლო, ღუმლის, საწოლის, კარადის ქვეშ და კუთხეებში მიუსვ-მოუსვა.

– სად დაიკარგა, ჰა? სად დაიკარგა ეს უტიფარი მზაკვარი?

– მამა, დაგვაძინე რა, – გვერდითა ოთახიდან მამაჩემის უკმაყოფილო ხმა გაისმა, – შენ დღე გძინავს, ჩვენ კი ღამე დაძინებას არ გვაცლი.

– მოხუცთა თავშესაფარში ჩამაბარეთ და შვებით ამოისუნთქავთ, – ცხვირში ჩაიდუდღუნა პაპამ, – ღამე მშვიდად დაგეძინებათ, დღისითაც ერთი კაცის სამყოფ ულუფას დაზოგავთ. ეგებ, გამდიდრდეთ.

– მოხუცთა თავშესაფარი რა არის, პაპა?

– სახელმწიფო სახლია, თბილი, წყნარი. იქ არც კატაა, არც ძაღლი, მარტო ბებრები არიან. თავის დროზე ჭამენ, საპირფარეშოშიც თავის დროზე დადიან, თავის დროზე იძინებენ და თავის დროზე კვდებიან. კატას შეეხმიანე, გამოვიდეს. შენ მოგისმენს.

– ნაზან, – ჩურჩულით ვეძახი.

– ხმამაღლა, – მიბრძანა პაპამ.

– ფუი! – მამაჩემის ხმა გაისმა, – ეს ხომ სახლი არაა! ჯოჯოხეთის ბაზარია.

მამა ფლოსტების ფრატუნით ჩვენ ოთახში შემოვიდა და პაპაჩემის წინ დადგა. პირველად შევნიშნე, როგორ ჰგვანან პაპა და მამა ერთმანეთს – იგივე მსხვილი ცხვირი, ფართო შუბლი, ფუმფულა თმები და კეთილი თვალები. მარცხენა ყურზე დაბადებიდანვე გამოზრდილი ბებერაც იგივე ჰქონდათ, რომელიც დღის განმავლობაში, რამდენჯერმე ხან წითლდებოდა, ხან თეთრდებოდა. ერთი და იგივე თეთრი პერანგ-საცვალი ეცვათ და სიმაღლეც ერთნაირი ჰქონდათ, მაგრამ პაპა უფრო დაბალი ჩანდა, რადგან მხრებში ოდნავ მოხრილიყო.

– ნახე! – პაპამ დასისხლიანებული თითი ცხვირწინ დაუტრიალა, – ნახე, რა ქნა ამ უტიფარმა მზაკვარმა.

– მაშ, მე რატომ არ მკბენენ თითზე? – ჰკითხა მამამ.

– შენ რატომ უნდა გიკბინონ? – გაიკვირვა პაპამ, – შენ, განა, გვერდითა ოთახში, ცოლთან ერთად არ გეძინა?

– მეძინა და გამაღვიძე. ამხელა კაცი ბავშვივით ჭყივი.

– თოვლი და ყინვაც მე გამოვიგონე? გაზაფხული რომ იგვიანებს, ამაშიც მე ვარ დამნაშავე? რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. მოხუცთა თავშესაფარი... ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. პაპაშენი ვარდაზარი კი უცოდველია, არმენაკიც, ჰოვსეფიც... შენთვის რომ ეკბინა თითზე, შენც იჭყივლებდი...

– ვინ?

– შენ, მეტი ვინ?

– არა, გეკითხები – ვინ? ვის ეკბინა?

– ვინ, ვინ, ვინ... ისევ ძილში ხარ და არ იცი, რას ლაპარაკობ. შავი დღისთვის გადანახული არაყი გექნება, მომიტანე, ჭრილობა დავიმუშაო.

მამა უთქმელად შეტრიალდა და სამზარეულოსკენ წავიდა.

– და ორი ჭიქაც გამოაყოლე, – მიაძახა პაპამ, – კატას შეეხმიანე, ვირისთავო.

– ნაზან, – ოდნავ ხმამაღლა დავიძახე, კატა ფეხებს შორის მოვიმწყვდიე, რომ შემთხვევით გარეთ არ გამომძვრალიყო და პაპას ხელში არ ჩავარდნოდა. ნაზანისთვის კანკალს უკვე გაევლო, სხეული დაპატარავებოდა, მოშვებულიყო და საცაა კრუტუნს ამოუშვებდა.

– პაპა, – ფრთხილად ვკითხე, – ნაზანს თუ იპოვნი, რას უზამ?

– დანერწყვილ ცხვირ-პირს დავუკოცნი. აბა, შენ რა გეგონა?

– მეგონა, უნდა მიგებეგვა, ან გარეთ გაგეგდო.

– მიბეგვა არ აწყენდა, მაგრამ გარეთ როგორ გავაგდებ? დილამდე გარეთ რომ დარჩეს, ძეგლი გახდება. ხომ ნახე, არ ვუთხარი, რომ პური, ყველი და მჟავეც წამოიღე-მეთქი. თვითონ მოიფიქრებს?

– მოიფიქრებს, – ვუთხარი, – პირველად ხომ არ არის? მოხარშული ლობიოც გვაქვს და შემწვარი კარტოფილიც.

– მაშინ ადექი, ადექი, – მიბრძანა პაპამ, – ნერწყვის ყლაპვით იხრჩობი და მაინც წევხარ?

ნაზანი რომ არ გამეღვიძებინა, ლოგინიდან ფრთხილად გამოვძვერი, შარვალი, წინდები და ჩუსტები ჩქარ-ჩქარა ჩავიცვი.

ღუმელი უკვე გავარვარებულიყო, ოთახში სითბო იღვრებოდა. კვამლსადენი კვლავ ღმუოდა, მაგრამ ამჯერად, არა ქარისგან, არამედ, ალისგან. ახლა, ალბათ, სახურავზე, გაყინული ბეღურები და ყვავები ჩვენს, სოკოს ფორმის საკვამურს შემოსხდომიან და ყინულივით ცივი და კრიალა ცისკენ სვეტად აღმავალ კვამლში ნაპერწკლებს ითვლიან. ორთქლი ასდის, ალბათ, სახურავსაც, გარგრისა და ატმის შიშველ ტოტებს ათბობს და დილამდე თრთვილად იქცევა. დილით კი, გამჭვირვალე თრთვილის ქვეშიდან ხის ფისი აბრჭყვიალდება და ბეღურებს გააგიჟებს.

– პაპა, რატომ არის, რომ ბეღურას ჩანისკარტებული თუთა ყველაზე ტკბილია?

– ბეღურას ნისკარტი თაფლიანია.

მამამ ღრმა ჭურჭლით, მჟავეში ჩადებული ბლომად კომბოსტო, პომიდორი, კიტრი და წიწაკა მოიტანა, ასევე, მოხარშული ლობიო, ერთი თავი ხახვი, ლავაში, ყველი, არაყი და ორი ჭიქა. მაგიდა გააწყო და ლავაშები ღუმელზე გასაფიცხებლად გადაფინა. ოთახში თონის სურნელი დატრიალდა, მოლურჯო ბოლი ჭერის ქვეშ ღრუბლად გადაიქცა.

– კეთილი დილა გაგვთენებოდეს, – თქვა პაპამ და თავისი წილი არაყი დალია. – სახლში კატაა, – ტუჩების ლოკვით განაგრძო, – სუფთა პირუტყვი. რასაც ჩვენ ვჭამთ, ისიც იმას ჭამს. რაღამ შეაშინა?

მე მჟავე პომიდვრები და კიტრები მოვასუფთავე. მსხვილი, ყვითელი წიწაკები მჟავე წვენით იყო სავსე. წიწაკის ხორციან კანს კბილებით ვჩხვლეტდი, მის მარილიან, მჟავე, მწარე, სურნელოვან წვენს ვსვამდი და ვთვრებოდი იმიტომ, რომ ასევე თვრებოდნენ პაპა და მამა. წითური ხახვის თავი მამამ მუშტის დარტყმით გაჭყლიტა, დააცემინა, მერე მე დავაცემინე, მერე პაპამ და ვიდრე ხახვის სიცხარე ჰაერში დაცურავდა, რიგრიგობით, ან ერთდროულად ვაცემინებდით, ვიცრემლებოდით.

– ოხაი! – პაპამ სიამოვნებისგან მუცელზე ხელი დაიტყაპუნა, – ნაწლავები გამითბა.

– ცხენი მომგვარეთ, – იბღავლა მამამ, – ცხენი მომგვარეთ, რომ გზები დავლაშქრო...

– დაჭედილი, შეკაზმული ცხენი, აგერ, ეზოში ჭიხვინებს, – ამბობს პაპა, – კოლუმბი, მაგელანი, მიკლუხო-მაკლაი, პრჟევალსკი – შენ რომელი ერთი ხარ?

– ეგენი ჭირსაც წაუღია...

– ყოჩაღ! რიგგარეშედ – შენი სადღეგრძელო.

– ისევ გაგიჟდით? – ძლივს გასაგონად გაისმა დედის ხმა.

– ხმა! – დატუქსა პაპამ.

– ხმა! – იღრიალა მამამ და სიმღერა დასცხო, მაგიდის კუთხეზე დოლს უკრავდა, – „მიჯნური ვარ, მიჯნური, მე შენს მკერდზედ ხალი ვარ, დაგიკოცნი ლამაზ ლოყებს, ჩემი გულის ვარდი ხარ“.

– „მიჯნური ვარ, მიჯნური... – აჰყვა პაპა, – რას დამდგარხარ, ვირისთავო, იცეკვე...

საწოლი ფანჯარასთან მივწიე, ადგილი რომ გათავისუფლებულიყო და ცეკვა დავიწყე. მამა მღეროდა, მაგიდაზე ხელებს ურტყამდა, პაპა ტაშს უკრავდა, შემდეგ ვეღარ მოითმინა და თავადაც საცეკვაოდ გამოვიდა.

– ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!.. – ფრუტუნებდა პაპა, – ახლა სიხარულისგან მოკვდები.

– კაცი სიხარულისგან უნდა მოკვდეს, მაშ, როგორ! – კვერს უკრავდა მამა, – დარდისგან კაცის სიკვდილი იქნება? ცხენი მომგვარეთ, ცხენი...

– აი, რა თბილი სახლი გვაქვს, – ამაყად თქვა პაპამ, როცა ოფლმა შუბლი და მკერდი დაუსველა, – შენ კი, ვირისთავო, კუნძული გინდოდა, გემი, თბილი ქვეყნები. ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!..

– თბილი ქვეყნები შენ გინდოდა, – ქოშინით ვუთხარი, – დაგავიწყდა? როგორ ლანძღავდი ვარდაზარს, არმენაკს, ჰოვსეფს.

– ძალიანაც მინდოდა. ძალიანაც ვლანძღავდი. ასაკოვანი ადამიანი ვარ, მეპატიება. შენ რატომღა გინდოდა კუნძული?

– ჩვენი სახლი კუნძული არ არის? – მკითხა მამამ.

– კუნძული რომელია? – ეშხში შევიდა პაპა, – მთელი ქვეყანაა.

– ყველაზე თბილი ქვეყანა, – დაამატა მამამ და ისიც შემოგვიერთდა.

– და ყველაზე მდიდარი, – თქვა პაპამ.

– ნეტაი ჩვენ, რაღა გვიჭირს, – გაისმა დედის ხმა.

– ხმა! – იღრიალა პაპამ.

– ხმა! – იღრიალა მამამ.

ახლა უკვე სამივე ვცეკვავდით – პაპა, მამა, მე. ფეხქვეშ იატაკი ქანაობდა, ველური ცეკვისგან მაგიდა ირყეოდა, ძველი კარადა ჭრიალებდა, არყის ცარიელი ბოთლი დაგორავდა, ახალი დღის სინათლე კი ფანჯრის მინებს მოტმასნოდა და შინ შემოსვლას ვერ ბედავდა.

სომხურიდან თარგმნა გელა გელაშვილმა

ჰოლოგრამაზე იქორწინა

იაპონელი აკიხიკო კონდო, ვირტუალურ მომღერალზე, ჰანცუე მიკუზე დაქორწინდა. 35 წლის კონდო ისეა შეყვარებული ამ ჰოლოგრამაზე, რომ მისი ცოლად მოყვანა გადაწყვიტა. სადღესასწაულო ღონისძიებისთვის მამაკაცმა არც თანხა დაიშურა და ამისთვის ორი მილიონი იენი დახარჯა. ქორწილში მისი ახლობლებიდან არავინ მისულა. „დედაჩემი თვლის, რომ ეს მოვლენა აღნიშვნის ღირსი არ არის“, – განაცხადა გულდაწყვეტილმა სიძემ. თუმცა, ამ უჩვეულო ქორწილს 40 სტუმარი ესწრებოდა. შეყვარებული კონდო ამ ურთიერთობაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავს და ამტკიცებს, რომ მისი ჰოლოგრამა-ცოლი დილაობით აღვიძებს, აცილებს სამსახურში, საღამოს კი სინათლეს უქრობს და ტკბილ ძილსაც უსურვებს.

ყველაზე დიდი ორგანიზმი აღმოაჩინეს

აღმოჩნდა, რომ ჩვენს პლანეტაზე ყველაზე დიდი ცოცხალი ორგანიზმი ლურჯი ვეშაპი არ ყოფილა. პირველობა მიჩიგანურ სოკოს, ოპიატების წარმომადგენელ – Armillaria gallica-ს ერგო. ის ორეგონის შტატში, მალურის დაცულ ტყეში იზრდება. ეს ცოცხალი ორგანიზმი 37 ჰექტარ მიწის ფართობს იკავებს და 400 ტონამდე იწონის ანუ ლურჯ ვეშაპზე, დაახლოებით, ორჯერ მეტს. აღმოჩენილი ორგანიზმის ასაკი 2500 წელზე მეტია. ის არა მხოლოდ მიწაში, არამედ, ხეების ფესვებშიც აღწევს და მათ სიკვდილს იწვევს. სწორედ ნაკრძალში, უამრავი ხის გახმობის მიზეზის გარკვევის დროს აღმოაჩინეს Armillaria gallica.

ვირუსი ტკივილს ამსუბუქებს



შვეიცარიელმა მედიკოსებმა ჟენევის საუნივერსიტეტო საავადმყოფოდან უჩვეულო ფენომენი აღმოაჩინეს: სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს, რომელთაც კორონავირუსის მძიმე ფორმა ჰქონდათ, კიბოთი გამოწვეული ტკივილები შეუმსუბუქდათ. სპეციალისტების უახლესი კვლევა განსაკუთრებით ყურადსაღებია, რადგან აქამდე ცნობილი იყო, რომ კოვიდითა და სიმსივნით ერთდროული ავადობა მხოლოდ აუარესებდა პაციენტის მდგომარეობას. მედიკოსები სამ ონკოპაციენტს აკვირდებოდნენ, რომლებიც 67-დან 84 წლამდე მამაკაცები იყვნენ. სიმსივნის გამო, მათ ძლიერი ტკივილები აღენიშნებოდათ, რასაც მორფიც ვერ აყუჩებდა. სამივე პაციენტი კორონავირუსით დაინფიცირდა და დაავადება მძიმე ფორმით გადაიტანეს. გამოჯანმრთელების შემდეგ, სამივემ აღნიშნა, რომ ინფიცირების პერიოდში, კიბოთი გამოწვეული ტკივილები შეუმცირდათ, ვირუსის გავლის შემდეგ კი სიმსივნური ტკივილი კვლავ დაუბრუნდათ. სწავლულები ვარაუდობენ, რომ კორონავირუსის ინფექციას შეუძლია ნერვული სისტემის დისფუნქცია გამოიწვიოს, რაც ზოგ პაციენტში ტკივილის შეგრძნებას თრგუნავს.

ვირუსს საღეჭი რეზინით შეებრძოლებიან

სწავლულებმა სპეციალური საღეჭი რეზინი შექმნეს, რომელიც ნერწყვში ვირუსის რაოდენობას ამცირებს და ამით მის გავრცელებას უშლის ხელს – ასეთი ინფორმაცია გაავრცელა სააგენტო „როიტერმა“. გამოცემის ცნობით, ექსპერიმენტული საღეჭი რეზინი შეიცავს პროტეინს, რომელიც კორონავირუსის ნაწილაკებს აკავებს. საღეჭი რეზინი შეიცავს უჯრედების ზედაპირზე აღმოჩენილი ACE2-პროტეინის ასლებს, რომელსაც ვირუსი უჯრედებში შესაღწევად და მათ დასაინფიცირებლად იყენებს. კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ ახალი საღეჭი რეზინის მოხმარების შედეგად, ვირუსული დატვირთვა 95%-ზე მეტად დაეცა. მკვლევარების თქმით, ანტივირუსული საღეჭი რეზინის გემო ჩვეულებრივის მსგავსია და მისი შენახვა, ნორმალურ ტემპერატურაზე, წლების განმავლობაშია შესაძლებელი.

ყველაზე სექსუალური მამაკაცი გამოავლინეს



პოპულარულმა ჟურნალმა People, წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცი დაასახელა. ეს ტიტული ამერიკელ მსახიობს, 52 წლის პოლ რადს ერგო, რომელიც marvel-ის კინოსამყაროში, ადამიანი-ჭიანჭველას როლითაა ცნობილი. გამოცემასთან ინტერვიუში, მსახიობმა აღნიშნა, რომ ახალი ტიტულის შესახებ ინფორმაცია წინასწარ მხოლოდ მეუღლეს გაანდო. „ის გაოცებული იყო, მაგრამ მერე მითხრა, რომ მათ ყველაფერი სწორად გაიგეს“, – განაცხადა რადმა. მსახიობის თქმით, გამოცემის მიერ ყველაზე სექსუალურ მამაკაცად მისი დასახელება, ალბათ, ბევრს გააკვირვებს. გასულ წელს, ჟურნალმა ეს ტიტული შავკანიან მსახიობს, მაიკლ ბი ჯორდანს მიანიჭა.

აივ-ინფექციასაც ვაქცინით შეებრძოლებიან

სწავლულთა ჯგუფმა ამომავალი მზის ქვეყნიდან შეიმუშავა ვაქცინა, რომელმაც საცდელ მაიმუნებში აივ-ინფექცია სრულად გაანადგურა. ამის თაობაზე ადგილობრივი გამოცემა წერს. ექსპერტების ვარაუდით, ახალი პრეპარატის კლინიკური ცდები მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში უნდა ჩატარდეს. შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის სამკურნალო წამლები მსოფლიოში უკვე არსებობს, თუმცა ისინი დაავადებას სრულად ვერ აღმოფხვრიან. მკვლევარები იმედოვნებენ, რომ მათ მიერ შექმნილი ვაქცინა გარდამტეხი იქნება და აივ-ინფექციას სრულად დაამარცხებენ. ვაქცინა შეიცავს ბაქტერიას, რომელიც ორგანიზმის იმუნურ პასუხს აძლიერებს. პრეპარატი ამ ბაქტერიის გენებისა და დასუსტებული იმუნოდეფიციტის ვირუსის გენების შერევით შეიქმნა.

ალცჰაიმერის ვაქცინას გამოსცდიან

აშშ-ში ალცჰაიმერის სამკურნალო ნაზალური ვაქცინის კლინიკური ცდები იწყება. კვლევის მიზანი პრეპარატის ეფექტურობის განსაზღვრაა. ტესტირება ბოსტონში მდებარე ბრიგემის ქალთა საავადმყოფოში ჩატარდება. თუ ამ კლინიკური ცდების შედეგად ვაქცინის ეფექტურობა და უსაფრთხოება დადასტურდა, შესაძლოა, ეს დაავადების მკურნალობის არატოქსიკურ მეთოდად იქცეს. პრეპარატი რისკის ქვეშ მყოფ ადამიანებს დაავადების პრევენციაში დაეხმარება. ახალი ვაქცინა იმუნოთერაპიული პრეპარატის – პროტოლინისგან შედგება, რომელიც ორგანიზმის იმუნურ სისტემას ასტიმულირებს. კლინიური ცდების პირველი ფაზა ექვს თვეს გაგრძელდება, რის შემდეგაც, მეორე ფაზა ჩატარდება და მასში 150 მოხალისე მიიღებს მონაწილეობას.

კონსტიტუციის ეგზემპლარი 43 მილიონად გაიყიდა



1787 წლის 17 სექტემბერს, ფილადელფიაში მიღებული ამერიკის კონსტიტუციის ყველაზე იშვიათი ეგზემპლარი, ნიუ-იორკის აუქციონზე, 43 მილიონ დოლარად გაიყიდა. ეს მსოფლიო რეკორდია გასაყიდად გატანილ ისტორიულ დოკუმენტებს შორის. მყიდველმა, რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა, კრიპტოინვესტორების ჯგუფს აჯობა, რომლებიც 40 მილიონის გადახდაზე იყვნენ მზად. ცნობილია, რომ ეს დოკუმენტი ერთადერთი გადარჩენილი ასლია, რომელიც კერძო კოლექციებში შემორჩა. კონსტიტუციის საერთო ტირაჟი სულ 500 ეგზემპლარს შეადგენდა.

რესტორანში ინსტაგრამ-პოსტით გადაიხდით?

მილანში მდებარე იაპონური სამზარეულოს რესტორანი გადახდის ახალ ფორმას სცდის, რომელიც კლიენტებს საშუალებას აძლევს, სოციალური ქსელი – „ინსტაგრამი„ ვალუტის სახით გამოიყენონ. ახალი წესების მიხედვით, კლიენტები, რომელთაც 1000-დან 5000-მდე გამომწერი ჰყავთ, ერთი კერძის საფასურს სოციალური ქსელში გამოქვეყნებული რესტორნის ფოტოთი გადაიხდიან. ორ უფასო კერძს ის ბლოგერები მიიღებენ, რომელთაც 5-დან 10 ათასამდე გამომწერი ჰყავთ. „ინსტაგრამის“ ნამდვილი ვარსკვლავები კი – 10-დან 50 ათასამდე გამომწერით – დაწესებულებისგან, მათი რეკლამისთვის, 4 უფასო კერძს მიიღებენ. ისინი, რომელთა ცხოვრებასაც 50-დან 100 ათასამდე ადამიანი ადევნებს თვალს, უფასოდ 8 კერძს მიიღებენ. ყველაზე მეტად კი იმ ბლოგერებს გაუმართლათ, რომლებსაც 100 ათასზე მეტი გამომწერი ჰყავთ – მათ რესტორანში საფულის გარეშე შეეძლებათ მისვლა, რადგან მათთვის ყველა საჭმელი უფასო იქნება. დაწესებულების მფლობელი აცხადებს, რომ მომავალში გადახდის ასეთი ფორმა სამუდამოდ დამკვიდრდება და მათი კლიენტები კერძებისთვის სოციალურ ქსელებში საკუთარი პოპულარულობით გადაიხდიან. მიუხედავად საჭმლის უფასოდ გაცემისა, რესტორანი მაინც მოგებული დარჩება, რადგან რეკლამაზე მნიშვნელოვან თანხას დაზოგავს.

მცივანები დიდხანს ცოცხლობენ

ამერიკელი სწავლულები ამტკიცებენ, რომ ის ადამიანები, რომლებსაც გამუდმებით სცივათ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ. სხეულის ტემპერატურა რომ სიცოცხლის ხანგრძლივობას უკავშირდება, ეს ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გაარკვიეს. ჰორმონალური ცვლილება ორგანიზმში იწვევს იმას, რომ ადამიანი მუდმივად იყინება. ეს, რასაკვირველია, დიდ დისკომფორტს ქმნის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ყოფილა. ჰორმონალური ცვლილებების გამო, ორგანიზმში ნელდება მეტაბოლიზმის პროცესი, რაც ენერგიისა და სითბოს შეანრჩუნების საშუალებას იძლევა. სწავლულები აპირებენ, ორგანიზმის ამ პრინციპით მუშაობის გათვალისწინებით, სიცოცხლის გასახანგრძლივებელი პრეპარატები შექმნან.

წლის გამოგონებები დასახელდა

გავლენიანმა გამოცემა Time-მა, 2021 წლის 100 საუკეთესო გამოგონება დაასახელა. ჟურნალის სიაში აღმოჩნდა ის მოწყობილობები და ნივთები, რომლებსაც ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესება, გამარტივება ან გამრავალფეროვნება შეუძლია. მიმდინარე წელს, გამოგონებები 27 კატეგორიად დაიყო: „სილამაზე“, „აპლიკაციები“, „ხელმისაწვდომობა“, „დიზაინი“, „განათლება“, „გართობა“, „ჯანმრთელობა“ და სხვა. წლის საუკეთესო გამოგონებებს შორის მოხვდა მალარიის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ერთი თვის წინ დაამტკიცა; ასევე, Apple M1-ის პროცესორი; გადამუშავებული ბოთლებისგან დამზადებული Lego; ტექსტის გახმოვანების მოწყობილობა და სხვა.

სპეცრეისები ინტიმური ურთიერთობებისთვის

ამერიკულმა კომპანიამ Love Cloud (სიყვარულის ღრუბელი), ავიარეისების შესრულება დაიწყო მათთვის, რომლებსაც ფრენის დროს, სექსით დაკავება სურთ. New York Post-ის ინფორმაციით, ორძრავიანი თვითმფრინავი 45-დან 90 წუთამდე ხანგრძლივობის რეისებს ასრულებს. ბორტზე არის ორადგილიანი ლეიბი – ატლასის თეთრეულითა და ბალიშებით. პილოტის ადგილი მგზავრებისთვის განკუთვნილი სივრცისგან ფარდითაა გამოყოფილი, თუმცა მფრინავს ხმაურის დამხშობი ყურსასმენები უკეთია, რათა კლიენტებმა სრულად შეძლონ მოდუნება. 45-წუთიანი ფრენის ღირებულება 995 დოლარია. აღსანიშნავია, რომ კომპანია, რომანტიკული ფრენების სერვისს, მსურველებს უკვე 7 წელია სთავაზობს, თუმცა აქამდე, ჰაერში მხოლოდ პაემნებისა და ხელის თხოვნის ცერემონიების მოწყობა შეიძლებოდა, სექსი კი აკრძალული იყო.

საეკლესიო ტანსაცმლის დეფილე გამართეს

ბელგიის ქალაქ ტურნეში მდებარე ტაძარში, მოდების უჩვეულო ჩვენება შედგა – პოდიუმზე ათობით ასაკოვანი მამაკაცი, საეკლესიო შესამოსელით გამოვიდა. დეფილე საორღანო მუსიკის თანხლებით ჩატარდა. ჩვენებაზე წარდგენილ 30-მდე შესამოსელს შორის, ზოგი ისეთი იყო, რომელთა არსებობა 400 წელზე მეტს ითვლიდა. ყოველი მათგანის ღირებულება, დაახლოებით, 300 ათასი ევრო იყო. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო ტანისამოსი, მაყურებლის წინაშე, ბოლო 50 წელიწადში, პირველად გამოიტანეს. დეფილეს ორგანიზატორების თქმით, ღონისძიების მიზანი საეკლესიო შესამოსელის ევოლუციის ჩვენება იყო – მე-17 საუკუნიდან დღემდე. ჩვენებაზე დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდული იყო და მას მხოლოდ 100-მდე ადამიანი ესწრებოდა.

სანტამ სამსახური დააკარგვინა

ნიუ-ჯერსიში მდებარე ქალაქ მონტვილის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი სამსახურს იმის გამო დაემშვიდობა, რომ სანტა-კლაუსის არ სჯერა. პედაგოგმა, რომლის ვინაობაც არ ხმაურდება, პირველკლასელებს განუცხადა, რომ სანტა არ არსებობს და ის გამოგონილი პერსონაჟია. გარდა ამისა, მასწავლებელმა მათ კბილის ფერიისა და სააღდგომო კურდღლის მითებიც გაუქარწყლა. ის ბავშვებს უმტკიცებდა, რომ საჩუქრებს მშობლები უმზადებდნენ და არა ზღაპრების პერსონაჟები. ამ ინფორმაციამ ძალიან იმოქმედა პატარებზე. საქმემ ადგილობრივ ხელისუფლებამდეც მიაღწია – მათ პედაგოგის საქციელი დაუშვებლად მიიჩნიეს და აღნიშნეს, რომ შობის წინ, მსგავსი განცხადებით, პედაგოგმა პატარების ბავშვური ოცნებები გაანადგურა. ამ ინციდენტის გამო, მასწავლებელი სკოლიდან გაუშვეს.

უდაბნო ტანსაცმლის სამარხად იქცა

ჩილეში მდებარე უდაბნო ატაკამა ტანსაცმლის სასაფლაოდ იქცა. ყოველწლიურად, აქ, დაახლოებით, 40 ათასი ტონა ნივთი მიაქვთ, რაც ევროპის, აზიისა და აშშ-ს მაღაზიებში გაუყიდავი დარჩა. სანაგვედ ქცეული ადგილის ფართობი გასაოცარია. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ტანსაცმელი არ იხრწნება და ქიმიური ნივთიერებებითაა დამუშავებული, ამიტომაც მას მუნიციპალურ სანაგვეებზე არ იღებენ. მოდის ინდუსტრია მსოფლიოში გარემოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამაბინძურებლად მიიჩნევა. ის უფრო მეტ ენერგიას მოიხმარს, ვიდრე საავიაციო და საზღვაო სფერო – ერთად აღებული. გაეროს მონაცემებით, გარემოს ნახშირორჟანგით დაბინძურების 8-10%, სწორედ ამ ინდუსტრიაზე მოდის.

ფეხზე დადექით და ისე იმუშავეთ!

ფეხზე მდგომარე მუშაობა, კერძოდ, კომპიუტერთან, ადამიანს ზედმეტი კილოგრამების მოკლებაში დაეხმარება და დიაბეტის რისკსაც შეამცირებს. ასეთ დასკვნამდე ოკლენდელი მეცნიერები მივიდნენ. საკუთარ აღმოჩენას მათ "ააგლიჯეთ საჯდომი სავარძელს" უწოდეს. სწავლულებმა ბევრი კვლევა ჩაატარეს მჯდომარე სამუშაოს შესახებ და გაარკვიეს, რომ იმ თანამშრომლებმა, რომლებმაც საკუთარი სავარძელი ფეხზე მდგომ ტერმინალში გაცვალეს, არა მხოლოდ დაიკლეს წონაში, არამედ, ფიგურაც გაიუმჯობესეს. სწავლულების დასკვნებით, კომპიუტერთან ფეხზე მომუშავე ადამიანი, საათში 84 კალორიას წვავს, რაც 13%-ით მეტია მჯდომარე სამუშაოსთან შედარებით და მათზე 16%-ით მეტი, რომლებიც კომპიუტერთან მწოლიარე მდგომარეობაში მუშაობენ.

დე-ვიტამინის ნაკლებობა შიზოფრენიას იწვევს



დანიელმა და ავსტრალიელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ დაბადებისთანავე დე-ვიტამინის უკმარისობა შიზოფრენიის განვითარების მომატებულ რისკს იწვევს. ბავშვებს, რომლებიც ამ ვიტამინის მინიმუმით დაიბადნენ (20.4 ნანომოლზე ნაკლები ლიტრზე), მომავალში, შიზოფრენიის განვითარების რისკი 44%-ზე მაღალი ჰქონდათ. ამის დასადასტურებლად, სწავლულებმა 2602 ადამიანის მონაცემები გააანალიზეს, რომლებიც 1981-2000 წლებში დაიბადნენ. მათგან ნახევარი ფსიქიკურად დაავადებული იყო, ნახევარი კი საკონტროლო ჯგუფში შევიდა. სპეციალისტებმა გაითვალისწინეს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სქესი, ასაკი, დაბადების თარიღი, ოჯახში არსებული ფსიქიკური დაავადებები, მშობლების ასაკი დაბადებისას, წონა და გარემო პირობები. გამოსაკვლევად აიღეს გენეტიკური მასალაც. შედეგად აღმოჩნდა, რომ დე-ვიტამინის დეფიციტით დაბადებული ახალშობილები, მოზრდილ ასაკში, სხვებზე მეტად ავადდებოდნენ შიზოფრენიით.

„ტირილის ოთახი“ გახსნეს

ესპანეთის დედაქალაქში „ტირილის ოთახი“ გაჩნდა, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლება, უსაფრთხოდ გამოხატოს საკუთარი ემოციები. პროექტი Therapy Chat-აპლიკაციის ავტორებმა შექმნეს – ამგვარად, ისინი ეწინააღმდეგებიან ფსიქიკური დაავადებების სტიგმატიზაციას საზოგადოებაში. მადრიდში მდებარე სივრცე რამდენიმე ზონადაა დაყოფილი და ყველგან წამახალისებელი ბანერებია, მაგალითად, „შემოდი და იტირე“, ან „მეც მაწუხებს რაღაც“ და სხვა. გარდა ამისა, ოთახშია ტელეფონიც, რომლის წყალობითაც, მსურველს შეუძლია, საკუთარი განცდები ფსიქოლოგებს გაუზიაროს. ცოტა ხნის წინ, ქვეყნის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის დასაცავად 100 მილიონ ევროს გამოჰყოფს. გარდა ამისა, ამოქმედდება სადღეღამისო ცხელი ხაზი – სუიციდის თავიდან ასაცილებლად. მხოლოდ 2019 წელს, ესპანეთის 3.6 ათასმა მცხოვრებმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით. ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში ყოველ მეათე მოზარდს ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი აქვს.

სტრესს ბროწეული შველის

ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სტრესის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებას მიაგნეს. მათი მოსაზრებით, ეს ბროწეულის წვენია. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ეს სასმელი სტრესის ჰორმონის დონეს აქვეითებს, აწყნარებს ნერვებს და შრომისუნარიანობას ზრდის. სწავლულთა ექსპერიმენტში 60 მოხალისე მონაწილეობდა. 14 დღის განმავლობაში, მათ ყოველდღიურად, ორ ჭიქა ბროწეულის წვენს ასმევდნენ. ამასთან, პირველ და ბოლო დღეს, სპეციალური კითხვარი შეავსებინეს, სადაც საკუთარი განწყობის, სამსახურთან დამოკიდებულებისა და ხასიათის შესახებ უნდა ჩაეწერათ. აღმოჩნდა, რომ დღეში 250 მილილიტრი ბროწეულის წვენი ადამიანს ენერგიით ავსებს, ზრდის შრომისუნარიანობას და განწყობასაც ამაღლებს. უფრო მეტიც, ეს სასმელი საუკეთესო ანტიდეპრესანტია და სტრესის ჰორმონის – კორტიზოლის დონეს მნიშვნელოვნად ამცირებს.

კიბოს დიაგნოსტიკა წყლით?!

ესპანელმა სწავლულებმა ბარსელონას უნივერსიტეტიდან, წყლის მოლეკულა გამოიყენეს, რათა ონკოლოგიური დაავადება ადრეულ სტადიაზე გამოევლინათ. მკვლევარებმა ამისთვის Tn-ანტიგენების ორი სახეობა გამოიყენეს. ის სიმსივნის 90%-ის შემთხვევაში ვლინდება და ავთვისებიანი წარმონაქმნების ინდიკატორად ითვლება. წყალთან ურთიერთქმედებისას, ეს ანტიგენები სხვადასხვანაირად მოიქცნენ. მათგან პირველი, რომელიც ტრეონინთანაა დაკავშირებული, წყლის მოლეკულის წყალობით, მკვრივ ფორმას იღებდა, მეორე სახეობა კი, რომელიც სერინს უკავშირდება, უფრო რბილი ხდებოდა. ამგვარად, ანტიგენების მოლეკულის ევოლუციის მიხედვით, შესაძლებელი ხდება ონკოლოგიური დაავადებების განვითარების ხარისხის დადგენა. სწავლულები კიბოს წინააღმდეგ ახალი თერაპიის შემუშავებას აპირებენ, რომლის დროსაც, Tn-ანტიგენის სინთეტიკურ ანალოგს გამოიყენებენ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.